პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
4 სექტემბერი
1939 წ.
№ 203 (5603)
ფასი 10 კაპ.

## უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონები

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები: „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“, „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ“. თვითეული სიტყვა უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებში გამსჭვალულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სიბრძნით, მათი დაუღალავი ზრუნვით ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ყველა კანონი დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის მიერ ერთხმად. დეპუტატებმა გამოხატეს თავის ამომრჩეველთა ურყევი ერთსულოვნება. ამაში კიდევ და კიდევ იჩენს თავს სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე მიღწეული მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ხალხისა, მისი რკინისებური შემჭიდროება ბოლშევიკების პარტიის, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო. მთელი ხალხი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სესიის მუშაობას, მხურვალედ მოიწონებს თავის რჩეულთა მუშაობას.

ჩვენი ქვეყანა მუშაობს სოციალისტური მშენებლობის იმ გიგანტური პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ. ამხანაგი სტალინი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მიგვითითებდა, რომ პარტიის ერთერთ ამოცანას საშინაო პოლიტიკის დარგში წარმოადგენს: „შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა“... კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამსჭვალულია ამ იდეით, იგი მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისაკენ და ამით უეჭველად ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

წინანდელი კანონი არ ითვალისწინებდა გლეხური მეურნეობის ნამდვილ შემოსავლიანობას. გადასახადის მტკიცე განაკვეთები 10-დან 50 მანეთამდე რაოდენობით მიუხედავად იმისა, თუ რა შემოსავალს იღებს კოლმეურნე პირადი მეურნეობიდან, ხელს უწყობდა ამ პირადი მეურნეობის გაბერვას საზოგადოებრივი, საკოლმეურნეო მეურნეობის საზიანოდ. ახალი კანონი ასწორებს ამ მდგომარეობას. კანონი სავსებით ანთავისუფლებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან კოლმეურნეთა იმ შემოსავალს, რაც მიღებულია შრომადღეებზე — როგორც ფულადი ისე ნატურალური ფორმით. ამით საბჭოთა ხელისუფლება აძლიერებს კოლმეურნეთა დაინტერესებას კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებით და საკოლმეურნეო მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებით. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება კოლმეურნეთა შემოსავალი მათი პირადი დამხმარე მეურნეობიდან, არაკოოპერირებული შინამრეწველურ - ხელოსნური მოსაქმეობიდან და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრიდან, რომელიც საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. ამავე დროს ეს კანონი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა კანონი, კოლმეურნეებს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში ერთპიროვნულ მეურნეებთან შედარებით: გადასახადი კოლმეურნეებზე უფრო დაბალია, ვიდრე სასოფლო - სამეურნეო გადასახადი ერთპიროვნულ მეურნეობაზე. კანონი გადასახადის შესახებ სავსებით შეესაბამება როგორც სახელმწიფოს ინტერესებს, ისე კოლმეურნეთა მასების ინტერესებს.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიას დაუსახა ამოცანა: „ყოველნაირად განამტკიცოს ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება“. კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სავსებით შეესაბამება ამხანაგ სტალინის ამ მითითებას. კანონი წარმოადგენს წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერების ზრდის საფუძველს.

კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ მკაფიოდ ასახავს იმ ღრმა, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში. წინანდელი კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ, მიღებული ცხრა წლის წინათ, შენიშნავდა, რომ სსრ კავშირის დაცვას იარაღით ხელში ახორციელებენ მხოლოდ მშრომელნი, არამშრომელი ელემენტები კი ასრულებენ სხვა ვალდებულებებს სსრ კავშირის თავდაცვის მომსახურებისათვის. ახლა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში აშენებულია სოციალიზმი, როდესაც ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებულია, სსრ კავშირის დაცვა იარაღით ხელში გახდა თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა. ამიტომ ახალი კანონი, დამტკიცებული უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ, იწყება სიტყვებით სტალინური კონსტიტუციიდან:

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს. სამხედრო სამსახური მუშურ - გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მის ყოფაში, მილიონობით ადამიანთა მსოფლმხედველობაში მომხდარი შესანიშნავი ცვლილებანი, ჩვენი სამშობლოს მშრომელთა სოციალისტური შეგნებულობის ზრდა არაჩვეულებრივად მკაფიოდ ასახულია შემდეგ ფაქტშიაც, რომელიც ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა მოიყვანა თავის მოხსენებაში სესიაზე: 1937-1938 წლების გაწვევის დროს არ შემოსულა არც ერთი განცხადება სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ რელიგიური რწმენის მიხედვით. ეს საუცხოო ატესტაციაა ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის! ბუნებრივია, რომ ახალ კანონში უკვე საჭირო აღარ იყო შეტანა წინანდელ კანონში არსებული კარისა „სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ რელიგიური რწმენის მიხედვით“.

ახალი კანონი გამოდის სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებული ძალების იმ გიგანტური ზრდიდან, იმ უდიდესი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებიდან, რომლებიც მოხდა წითელ არმიასა და სამხედრო - საზღვაო ფლოტში უკანასკნელ წლებში. არმიისა და ფლოტის მშვიდობიანი დროის რაოდენობა ცხრა წლის განმავლობაში სამნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. პირდაპირ ველარ იცნობთ ჩვენს სამხედრო ტექნიკას, შეიარაღებას, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფომ აღჭურვა არმია სტალინური ხუთწლედების წლებში. სიხარულით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ამხანაგ ვოროშილოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩვენი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიცხობრივი ზრდა სავსებით შეესაბამება საერთაშორისო ვითარებას. ჩვენი არმია ძლიერი და მძლავრია!

მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, მუდამ ფხიზლად უნდა იყოს. და კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე აიყვანს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს.

გასაწვევი ასაკი სსრ კავშირში მცირდება ერთი წლით, ხოლო სრული საშუალო განათლების მქონე პირთათვის — ორი წლით. ნამდვილი სამსახურის ვადა სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო - საჰაერო ძალების ნაწილთა უმცროსი მეთაურებისათვის, აგრეთვე სამხედრო - საჰაერო ძალების მთელი რიგითი შემადგენლობისათვის, შინადაცვის ჯარების უმცროსი მეთაურებისათვის და სახმელეთო სანაპირო ჯარების მერიგეებისა და უმცროსი მეთაურებისათვის დიდდება 2-დან 3 წლამდე. სამსახურის ვადების გადიდება საშუალებას მისცემს ჩვენს მებრძოლებსა და უმცროს მეთაურებს ჯეროვნად დაეუფლონ რთულ სამხედრო ტექნიკას, რათა საჭირო მომენტში მაქსიმალური ეფექტით გამოიყენონ იგი. 10 წლით დიდდება სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვადა, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო საქმეში გაწრთვნილი თადარიგის გადიდებას. ომიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, არმიასა და ფლოტში შეიძლება გაწვეულ იქნან დამხმარე და სპეციალური სამსახურის გასაწევად სამედიცინო, ვეტერინარული და სპეციალური ტექნიკური მომზადების მქონე ქალები. შემოღებულია მოწაფეების დაწყებითი სამხედრო მომზადება, დაწყებული მეხუთედან მეშვიდე კლასამდე ჩათვლით ყველა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში და საშუალო სკოლის მერვე, მეცხრე და მეათე კლასების მოწაფეთა წვევამდელი მომზადება. კანონის ყველა ეს, ისევე როგორც დანარჩენი, კარი და პარაგრაფი სავსებით შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს და იმ პატრიოტულ აღფრთოვანებას, რომლითაც აღგზნებულია საბჭოთა ხალხი. ამხანაგ ვოროშილოვის მოხსენება, რომელსაც უკვე გაეცნო მრავალი მილიონი ადამიანი, საყოველთაო მოწონებას იწვევს საბჭოთა მოსახლეობის ყველა ფენაში. საბჭოთა ადამიანები იმეორებენ ამხანაგ ვოროშილოვის შესანიშნავ სიტყვებს:

„საბჭოთა კავშირს ვერ მოუსწრებენ მოუმზადებელს საერთაშორისო ამბები, რარიგ მოულოდნელი და მრისხანეც არ უნდა იყვნენ ისინი. ხოლო ის ვაჟბატონები, რომელთა დახშული გონებაც ხელს უშლის მათ დაინახონ საბჭოთა კავშირი ისეთად, როგორიც იგი სინამდვილეშია, განუწყვეტლივ მიიღებენ საგნობრივ გაკვეთილებს მანამდე, სანამ ისინი არ შეიგნებენ, რომ საბჭოების დიად ხალხს ჰყავს და მუდამ ეყოლება თავისი დიადი და მტერთან ბრძოლაში თავზარდამცემი შეიარაღებული ძალა, რომელიც გაანადგურებს ყველას და ყოველთვის, ვინც კი გაბედავს ხელჰყოს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა უფლებები, მიწა-წყალი და ღირსება“.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა იმაზე, რომ პარტიის ამოცანას საგარეო პოლიტიკის დარგში წარმოადგენს: „მომავალშიც გაატაროს მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა“. სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადება წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სტალინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე ნიმუშს. საბჭოთა კავშირ - გერმანიის ხელშეკრულების ხელმოწერას და მის რატიფიკაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ ხალხი საყოველთაო მოწონებით შეხვდა. საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს გერმანიის ხალხთან მეგობრობას და ამ მეგობრობის აყვავებას. საბჭოთა ხალხი მშვენივრად აფასებს ხელშეკრულების მნიშვნელობას, როგორც მობრუნების პუნქტისა ევროპის, და არა მარტო ევროპის ისტორიაში. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებამ „უნდა უზრუნველჰყოს ჩვენთვის ძალების ზრდის ახალი შესაძლებლობანი, ჩვენი პოზიციების განმტკიცება, საერთაშორისო განვითარებაზე საბჭოთა კავშირის გავლენის შემდგომი ზრდა“ (მოლოტოვი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის მიერ დამტკიცებულ კანონებში გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფა.

**„პრავდის“ მოწინავე, 3/IX.**

თბილისი. 2 სექტემბერს წითელი არმიის სახლის საზაფხულო პარკში შესდგა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მუშაკთა მიტინგი, მიძღვნილი სსრკ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის გადაწყვეტილებებისადმი. **სურათზე:** მიტინგის საერთო ხედი. ინფორმაციით სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ გამოდის პირველი რანგის ინჟინერი ამხ. **რიჟკოვი**.

საქდესის ფოტოქრონიკა

# საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სსრკ უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე ისტორიული სესიის გადაწყვეტილებებს

## ხალხმრავალი მიტინგები თბილისში

მთელი საბჭოთა ქვეყანა, უძლეველი 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხი, მტკიცედ დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე ისტორიული სესიის გადაწყვეტილებებს.

გუშინ, 3 სექტემბერს, თბილისის მშრომელებმა, ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებმა, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებმა და პროფესორებმა, ხელოვნების მუშაკებმა და სახელოვანი წითელი არმიის ნაწილთა მებრძოლებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, დიასახლისებმა, შეიკრიბნენ რა სესიის მუშაობის დამთავრების აღსანიშნავად მოწვეულ სახელდახელო მიტინგებზე, თავისი მოწონების ხმა შეუერთეს მთელი უძლეველი საბჭოთა ხალხის მოწონების ხმას ამ ისტორიული სესიის გადაწყვეტილებათა მიღების გამო. ღრმა კმაყოფილების გრძნობით, უდიდესი სიამაყით მიესალმებოდნენ თბილისის მშრომელები სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

**ამხანაგ სტალინის სახელობის** ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა ხალხმრავალ მიტინგზე გუშინ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ამ დიად რევოლუციურ ტრადიციათა მქონე ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებენ: — ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რადგან ეს პოლიტიკა ნამდვილად ჩვენი საბჭოთა სახალხო პოლიტიკაა, რადგან იგი გამოხატავს მთელი ჩვენი ხალხის ნებისყოფასა და სურვილს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ მივესალმებით თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას გერმანიასთან და ამავე დროს ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ ოდნავადაც არ შეანელებს ჩვენს სიფხიზლეს.

მიტინგზე დამსწრეთა საერთო სურვილი გამოხატეს სტახანოველებმა ამხ. ხალფინმა, ი. ნაზარბეგოვმა, ინჟ. ვ. გაბუნიამ, ი. იუზბაშევმა და სხვებმა, როცა განაცხადეს, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპასუხებენ სესიის გადაწყვეტილებებს საყოველთაო ვალდებულების კანონის მიღებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

**26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველებმა — ზეინკლებმა, მეყალიბეებმა, ხარატებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მთელი ქარხნის კოლექტივმა, აღფრთოვანებულმა სესიის მუშაობის შედეგებით და საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებით, სიტყვა დასდო, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ენტუზიაზმით განაგრძობენ მუშაობას საწარმოო გეგმების შესასრულებლად და ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის კიდევ უფრო განსავითარებლად.

**ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის** მუშებმა და მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს ვრცელ საქარხნო ეზოში მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე, განაცხადეს, რომ ისინი სავსებით უერთდებიან ხალხის რჩეულთ — სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ახალი კანონების მიღებას საყოველთაო სამხედრო ვალდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, აგრეთვე გერმანიასთან ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

— პატრიოტულად აღგზნებულნი, — ნათქვამია რეზოლუციაში. — ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვროდ ერთგულნი, ჩვენ იმ ისტორიულ წუთებში ჩვენს დეპუტატებთან ერთად ტაშს ვუკრავდით საბჭოთა მთავრობის მართალი და ბრძნული სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას.

**თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში** შემდგარ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსული მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები აცხადებდნენ:

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვართ უძლეველი საბჭოთა ქვეყნის შვილები, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს სამშობლოს მესაჭეობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ხალხთა მამა და მასწავლებელი ბრძენი **სტალინი**.

— ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს მთავრობას, ჩვენს ლენინურ-სტალინურ პარტიას, დიდ **სტალინს**, რომ პირველი მოწოდებისთანავე იარაღით ხელში დავდგებით სამშობლოს სადარაჯოზე, ხოლო სანამ ეს საჭირო არ არის, ერთი ათად გავაძლიერებთ ბრძოლას ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ასევე ერთსულოვნად მიესალმებოდნენ და იწონებდნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული ისტორიული სესიის გადაწყვეტილებებს დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების, დაწესებულებების და თბილისის გარნიზონის ნაწილებში შემდგარი ხალხმრავალი მიტინგები.

## ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში

2 სექტემბერს წითელი არმიის სახლის საზაფხულო პარკში ჩატარდა ა.-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და მებრძოლთა მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის მუშაობის დამთავრებისადმი.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის მიერ დამტკიცებული კანონები სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. მათ უსაზღვრო აღფრთოვანება გამოხატეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო.

— ამხანაგმა მოლოტოვმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში, — სთქვა სიტყვით გამოსულმა პირველი რანგის სამხედრო ინჟინერმა ამხ. რიჟკოვმა, — ნათელჰყო ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძალა, მისი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანობისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხთა სამშვიდობო ინტერესებისათვის. ამხანაგ ვოროშილოვის მოხსენება ერთხელ კიდევ ამტკიცებს წითელი არმიის უძლეველობას, მის სამხედრო-ტექნიკურ ძლიერებას. ამ ისტორიული სესიის მუშაობის შედეგები თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს უკეთეს მუშაობას, მთელი ძალღონის გამოყენებას ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის. ამ მოთხოვნას ჩვენ სავსებით განვახორციელებთ.

— ჩვენი დანაყოფის მომავალი უმცროსი მეთაურები, — განაცხადა ამხ. მედვედევმა, — დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას უმცროს მეთაურთათვის სამხედრო სამსახურის ვადის 3 წლამდე გადიდების შესახებ. ისინი ვალდებულებას იღებენ კიდევ უფრო უკეთესად დაეუფლონ სამხედრო ტექნიკას, გახდნენ სახელოვანი მებრძოლები ჩვენი მშობლიური წითელი არმიისა.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სხვადასხვა ნაწილების მეთაურები, პოლიტმუშაკები და მებრძოლები.

დასასრულ, მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა სესიის გადაწყვეტილებანი და მოუწოდა მთელი ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

ამავე დღეს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილში ჩატარდა სესიის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

**რ. ჭადაგიშვილი**
წითელარმიელი

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

2 სექტემბერს დიდ კინოთეატრში გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი მ. დემჩენკო. მან უამბო დამსწრეთ ათასოვანთა სტახანოვური გამოცდილების შესახებ ჭარხლის მინდვრებში, იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მათ თავიანთ წარმატებას.

— 4 წელი გავიდა, — სთქვა ამხ. დემჩენკომ, — რაც დაიწყო ბრძოლა ჭარხლის დიდი მოსავლისათვის. მას შემდეგ ასობით სტახანოვური რგოლები გაჩნდა, რომელნიც შრომის ნაყოფიერების შესანიშნავ რეკორდებს გვიჩვენებენ. ეს რგოლები იმის გარანტიას წარმოადგენენ, რომ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ამხ. დემჩენკოს მოხსენება მოისმინეს უკრაინის, კურსკის, ტულისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მეჭარხლეებმა. (საკდესი).

○

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საკონცერტო ესტრადაზე 2 სექტემბერს შესდგა უკრაინის სს რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა დიდი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვოროშილოვგრადის ოლქის ფოლკლორის გუნდმა, კიევის ქარხანა „ბოლშევიკის“ კაპელამ, მოლდავეთის ცეკვის ანსამბლმა, კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ბანდურისტების სახელმწიფო კაპელამ.

კონცერტს დაესწრო 1400 კოლმეურნე ექსკურსანტი და გამოფენის ექსპონენტი. (საკდესი).

## ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფში

**ყინულმჭრელი „სედოვი“**, 2 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტის რადიო). 31 აგვისტოს დრეიფის რაიონში დიდი ღრუბლიანობა იყო, დროგამოშვებით თოვდა. ჩვენი კოორდინატები იყო ჩრდილოეთის განედის 86 გრადუსი და 37 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 45 გრადუსი და 05 წუთი.

ჩატარებულია მორიგი მაგნიტური და გრავიმეტრიული დაკვირვებანი. გავზომეთ ოკეანის სიღრმე. იგი 4.952 მეტრს აღწევს. ეს ყველაზე დიდი სიღრმეა, რომელიც გამორკვეულია ყინულმჭრელ „სედოვის“ დრეიფისა და პაპანინელთა ყინულის დრეიფის მთელი დროის განმავლობაში.

გემზე ყველაფერი რიგზეა. ახალგაზრდობა ემზადება ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღის დღესასწაულისათვის.

**ნ. ბეკასოვი.**

## ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. მ. ფ. გორშკოვი დანიშნა სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ კორპუსის მეთაური, ამხ. მ. ა. პურკაევი დანიშნა სსრ კავშირის სამხედრო ატაშედ გერმანიაში.

4 სექტემბერს, საღ. 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგება პროფესორ მ. გოგიბერიძის ფასიანი ლექცია ქართულ ენაზე:

**„მატერიალიზმი და იდეალიზმი“.**

შესვლა ღირს 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ძერჟინსკის სახ. კლუბის სალაროში, ბესიკის ქ. № 4.

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.**

### უკანასკნელი ცნობები

# ინგლისი და საფრანგეთი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან გერმანიასთან

## რეიტერის სააგენტოს ცნობა

**ლონდონი**, 3 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, დილის 9 საათზე, ინგლისის ბერლინელმა ელჩმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ, თუ იგი 3 სექტემბრის 11 საათამდე (ევროპული დროით) არ გასცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს ინგლისის მთავრობას მის მოთხოვნებზე—შესწყვიტოს საომარი მოქმედება პოლონეთის წინააღმდეგ და გაიწვიოს თავისი ჯარი პოლონეთის ტერიტორიიდან, მაშინ ამ საათიდან ინგლისის მთავრობა ჩასთვლის, რომ ინგლისი ომის მდგომარეობაში იმყოფება გერმანიასთან.

## გერმანიის პასუხი ინგლისის ულტიმატუმზე

**ბერლინი**, 3 სექტემბერი (საკდესი). ტრანსოკეანის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს გერმანიის მთავრობის მემორანდუმს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ინგლისის ულტიმატუმის საპასუხოდ. მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა უარს ამბობს მიიღოს ინგლისის მთავრობის ულტიმატური მოთხოვნები.

## ინგლისმა და ავსტრალიამ ომი გამოუცხადეს გერმანიას

**ლონდონი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, ჩემბერლენმა დღეს განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ომის მდგომარეობაში იმყოფება გერმანიასთან.

**ნიუ-იორკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). ავსტრალიის მთავრობამ დღეს ომი გამოუცხადა გერმანიას.

## საფრანგეთის ბერლინელი ელჩის განცხადება

**პარიზი**, 3 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა უარყოფითი პასუხი გასცა საფრანგეთს მის მოთხოვნებზე პოლონეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, საფრანგეთის ბერლინელმა ელჩმა კულონდრმა დღეს რიბენტროპს განუცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა 3 სექტემბრის 17 საათიდან ვალდებულად სთვლის თავს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებანი პოლონეთის მიმართ.

## ინსტრუქცია ამერიკის სამხედრო გემებს

**ნიუ-იორკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესი ვაშინგტონიდან იუწყება, 5 საათსა და 30 წუთზე ვაშინგტონის დროით ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელმა ედისონმა ამერიკის ყველა სამხედრო გემს დაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „საფრანგეთი და ინგლისი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან გერმანიასთან. იხელმძღვანელეთ ამით“.

## ინგლისის სამხედრო კაბინეტის შედგენა

**ლონდონი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, შედგენილია ინგლისის სამხედრო კაბინეტი, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: პრემიერ - მინისტრი — ჩემბერლენი, ფინანსთა მინისტრი — ჯონ საიმონი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ჰალიფაქსი, თავდაცვის კოორდინაციის მინისტრი ჩეტფილდი, საზღვაო მინისტრი — უინსტონ ჩერჩილი, სამხედრო მინისტრი — ჰორ ბელიშა, ავიაციის მინისტრი კინგსლი ვუდი, ლორდი ბეჭდის შემნახველი — სემიუელ ჰორი და უპორტფელო მინისტრი—ლორდ ჰენკი.

გუშინ ჩემბერლენმა მიიღო ლიბერალების ლიდერი სინკლერი, რომელსაც წინადადება მისცა შევიდეს კაბინეტში. სინკლერმა განაცხადა, რომ იგი და მისი პარტია მხარს დაუჭერს მთავრობას, მაგრამ კაბინეტის გარეშე დარჩება.

სამხედრო კაბინეტის პირველი თათბირი შესდგა დღეს.

## დამატებითი მობილიზაცია პოლონეთში

**ვარშავა**, 3 სექტემბერი (საკდესი). დღეს რადიოთი ვარშავაში გამოაცხადეს იმ პირთა დამატებითი მობილიზაცია, რომელთაც აქვთ ბარათი № 1 წითელი ზოლით. მობილიზაცია ეხება ყველა ოფიცერსა და უნტერ-ოფიცერს, მიუხედავად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ასაკისა, და აგრეთვე ყველა რიგით ჯარისკაცს. გაწვეულები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ იმ პუნქტში, რომელიც აღნიშნულია სამობილიზაციო ბარათებში.

## იაპონიის რომაელი ელჩი სირატორი მოხსნილია თანამდებობიდან

**ნიუ-იორკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა თანამდებობიდან მოხსნას იაპონიის რომაელი ელჩი სირატორი.

## პოლონეთის ფინანსიური სიძნელენი

**ბერლინი**, 3 სექტემბერი (საკდესი). ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის საკრედიტო დაწესებულებათა მიერ კრედიტების გაცემა და ყველა საკრედიტო ოპერაცია შეჩერებულია ერთი კვირით.

## ლიპსკიმ ბერლინი დასტოვა

**რიგა**, 3 სექტემბერი (საკდესი). ბერლინიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის ბერლინელმა ელჩმა ლიპსკიმ დღეს დილით დასტოვა გერმანიის დედაქალაქი. ბერლინში ჯერ კიდევ დარჩნენ პოლონეთის საელჩოს ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირნი.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესია

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

## კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ

### თავი I

### ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს. სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას (სსრ კავშირის კონსტიტუციის 132 მუხლი).

მუხლი 2. სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება და ჯაშუშობა—ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 133 მუხლი).

მუხლი 3. სსრ კავშირის მოქალაქე ყველა მამაკაცი, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობისა, ვალდებულია მოიხადოს სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში.

მუხლი 4. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები შესდგება მუშურ-გლეხური წითელი არმიისაგან, მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან, საზღვრისპირა და შინადაცვის ჯარისაგან.

მუხლი 5. სამხედრო სამსახური შესდგება ნამდვილი სამსახურისა და არმიისა და ფლოტის თადარიგში სამსახურისაგან.

მუხლი 6. ნამდვილ სამსახურში მყოფთ ეწოდებათ სამხედრო მოსამსახურენი, თადარიგში მყოფთ ეწოდებათ სამხედრო ვალდებულნი.

მუხლი 7. ნამდვილი სამსახურის ვადები წესდება შემდეგი:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო ნაწილების რიგითი შემადგენლობისათვის — 2 წელი;

ბ) მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო ნაწილების უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის — 3 წელი;

გ) არმიისა და ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის—3 წელი;

დ) სანაპირო დაცვის ნაწილების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის—4 წელი;

ე) მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემებისა და ნაწილების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის 5 წელი;

ვ) შინადაცვის ჯარების რიგითი შემადგენლობისათვის — 2 წელი;

ზ) შინადაცვის ჯარების უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის — 3 წელი;

თ) საზღვრისპირა ჯარის სახმელეთო ნაწილების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის — 3 წელი;

ი) საზღვრისპირა ჯარის გემების რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის—4 წელი.

მუხლი 8. ნამდვილი სამსახურის ვადა გამოიანგარიშება გაწვევის წლის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 9. სსრ კავშირის თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებს უფლება ენიჭებათ:

ა) საჭიროების შემთხვევაში ორ თვემდე ვადით დასტოვონ სამხედრო მოსამსახურენი ნამდვილ სამსახურში მათთვის დაწესებული ვადის გადამეტებით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ჯარის ერთი გვარეობიდან მეორეში გადაიყვანონ სამხედრო მოსამსახურენი სამსახურის ვადის სათანადო შეცვლით.

მუხლი 10. რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა არმიისა და ფლოტის თადარიგში 50 წლის ასაკამდე ირიცხება.

არმიისა და ფლოტის თადარიგი იყოფა ორ კატეგორიად — პირველ და მეორე კატეგორიად (მუხლი 31).

მუხლი 11. სამხედრო მოსამსახურენი და სამხედრო ვალდებულნი ფიცს სდებენ თავიანთი ხალხის, თავიანთი საბჭოთა სამშობლოს და სსრ კავშირის მუშურ-გლეხური მთავრობის ერთგულებაზე.

მუხლი 12. სამხედრო მოსამსახურენი და სამხედრო ვალდებულნი იყოფიან უფროსთა და რიგითს შემადგენლობად.

უფროსთა შემადგენლობა იყოფა ჯგუფებად: უმაღლეს, უფროს, საშუალო და უმცროსად.

მუხლი 13. თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრებს უფლება ენიჭებათ აღრიცხვაზე აიყვანონ და არმიისა და ფლოტის სამსახურში მიიღონ ქალები, რომელთაც აქვთ სამედიცინო, ვეტერინარული და სპეციალური ტექნიკური მომზადება, აგრეთვე ჩააბან ისინი სასწავლო შეკრებაში.

ომიანობის დროს აღნიშნული მომზადების მქონე ქალები შეიძლება გაწვეულ იქნან არმიასა და ფლოტში დამხმარე და სპეციალური სამსახურის გასაწევად.

### თავი II

### ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

მუხლი 14. ნამდვილ სამსახურში გაიწვევიან მოქალაქენი, რომელთაც გაწვევის წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) უსრულდებათ ცხრამეტი წელი, და საშუალო სკოლა და მის შესაბამის სასწავლებელ-დამთავრებულნი, რომელთაც უსრულდებათ თვრამეტი წელი.

მუხლი 15. ნამდვილ სამსახურში მორიგი გაწვევა თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით ტარდება ყოველწლიურად, ყველგან 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. მოქალაქეთა გაწვევაზე გამოცხადების ზუსტი ვადები რაიონული სამხედრო კომისრების ბრძანებებით წესდება.

მუხლი 16. ნამდვილ სამსახურში მორიგი გაწვევის მომზადებისა და ჩატარებისათვის სსრ კავშირის ტერიტორია იყოფა რაიონულ გასაწვევ უბნებად.

მუხლი 17. გასაწვევ უბნებს ყოველწლიურად მიეწერებიან იანვარ-თებერვლის განმავლობაში მოქალაქენი, რომელთაც 1 იანვრამდე შეუსრულდა თვრამეტი წელი, და საშუალო სკოლების მოსწავლენი, როდესაც ჩვიდმეტი წლისანი გახდებიან.

მიწერა სწარმოებს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაზედაც მიწერილს სპეციალური მოწმობა ეძლევა.

მუხლი 18. გასაწვევ უბანზე მისაწერად, გასაწვევი პირნი ვალდებულნი არიან რაიონულ სამხედრო კომისარიატში გამოცხადდნენ სამხედრო კომისრის ბრძანებით დაწესებულ ვადაში და წარადგინონ პასპორტი ან დაბადების წლის მოწმობა.

გასაწვევ უბნებზე მიწერილი პირნი ახალწვეულებად იწოდებიან.

მუხლი 19. გაწვევის გამოცხადების შემდეგ თვითეული გასაწვევი ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად სამხედრო კომისრის ბრძანებით დაწესებულ ვადაში და იმ გასაწვევ უბანში, სადაც იგი მიწერილია.

გასაწვევი უბნის გამოცვლა დაიშვება მხოლოდ გაწვევის წლის 1 მაისამდე. ამ ვადის შემდეგ გასაწვევი უბნის გამოცვლა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მიწერილი ადმინისტრაციის მიერ სხვა ადგილას არის გადაყვანილი სამუშაოდ;

ბ) თუ მიწერილი ახალ საცხოვრებელ ადგილას გადავიდა მთელი თავისი ოჯახით.

მუხლი 20. გაწვევაზე გამოცხადებისაგან არავინ თავისუფლდება გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ვადა გაუგრძელდათ განათლების დასამთავრებლად.

გაწვევისათვის ვადაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებად ითვლება:

ა) ახალწვეულის ავადმყოფობა, რომელმაც, სამედიცინო მოწმობის თანახმად, ხელი შეუშალა პირადად გამოცხადებას;

ბ) სტიქიური ხასიათის დაბრკოლებანი, ამასთან თავის დროზე გამოცხადების შეუძლებლობა დამოწმებულ უნდა იქნას სოფლის საბჭოს ან მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოს მიერ ახალწვეულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 21. ნამდვილ სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის გატარებისათვის ხელის შესაწყობად რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისრებთან იქმნება რაიონული (საქალაქო) გამწვევი კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი;

წევრები: მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შინსახკომის რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსი, რაიონული (საქალაქო) მილიციის უფროსი და ორი ექიმი, რომლებსაც გამოჰყოფს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი განყოფილება რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისრის მოთხოვნით.

რაიონული (საქალაქო) გამწვევი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს რესპუბლიკის, მხარის, ოლქისა ან ოკრუგის სამხედრო კომისარი შესაბამისად.

რაიონულ (საქალაქო) გამწვევ კომისიებს ეკისრებათ:

ა) ახალწვეულთა სამედიცინო შემოწმება;

ბ) ნამდვილ სამსახურში გაწვეულის განწესება ჯარის ნაწილებში;

გ) გაწვევის ვადის გაგრძელება ავადმყოფობის გამო და შეღავათების მიცემა ოჯახური მდგომარეობის გამო;

დ) სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლება კომისიის წევრ ექიმების მიერ გამორკვეულ ფიზიკურ ნაკლოვანებათა და ავადმყოფობათა გამო, ავადმყოფობათა და ფიზიკურ ნაკლოვანებათა განსაკუთრებული ცხრილის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თავდაცვის სახალხო კომისრის მიერ.

მუხლი 22. იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს, ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ოკრუგში გაწვევის ჩატარებისათვის ხელის შესაწყობად სათანადო სამხედრო კომისრებთან იქმნება გამწვევი კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ან ოკრუგის სამხედრო კომისარი.

წევრები: რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (რესპუბლიკურ კომისიებში), მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო (სამხარეო), საოკრუგო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე (რესპუბლიკურ კომისიებში), შინსახკომის საოლქო (სამხარეო) სამმართველოს ან საოკრუგო განყოფილების უფროსის მოადგილე, მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელი, მილიციის რესპუბლიკური, საოლქო (სამხარეო) სამმართველოს ან საოკრუგო განყოფილების უფროსი და ორი ექიმი, რომლებსაც გამოჰყოფს ჯანმრთელობის დაცვის სათანადო ორგანო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით.

რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო გამწვევ კომისიებს ეკისრებათ რაიონული (საქალაქო) გამწვევი კომისიების ხელმძღვანელობა, მათი საქმიანობის კონტროლი, აგრეთვე გასაწვევ მოქალაქეთა და რაიონული გამწვევი კომისიების წევრთა განცხადებების განხილვა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეთანხმებიან გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებას.

გასაწვევის საჩივარი რაიონული (საქალაქო) გამწვევი კომისიის დადგენილებაზე ამ დადგენილების შესრულებას ვერ შეაჩერებს.

რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საოკრუგო გამწვევი კომისიების დადგენილებანი საბოლოოა და მათი შემდგომი განსაჩივრება არ შეიძლება.

მუხლი 23. ყველა გასაწვევმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რასაც ჩაატარებენ რაიონული (საქალაქო) გამწვევი კომისიის წევრი ექიმები ან მოწვეული ექიმები კომისიის წევრ ექიმების მეთვალყურეობით.

გასაწვევთა ფიზიკური ვარგისობის გამორკვევის საფუძველზე რაიონულ (საქალაქო) გამწვევ კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს ნამდვილ სამწყობრო ან არასამწყობრო სამსახურში მათი ჩარიცხვის შესახებ, რასაც უცხადებს გასაწვევს.

სამედიცინო შემოწმების შედეგების შესაბამისად, გამწვევ კომისიას უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება და გამოუცხადოს იგი გასაწვევს:

ა) ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურისათვის დროებითი უვარგისობის შესახებ, შემდეგ მორიგ გაწვევამდე ვადის გაგრძელებით;

ბ) სამხედრო სამსახურისათვის სრული უვარგისობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გასაწვევს აქვს ფიზიკური ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან სამხედრო სამსახურის შესრულებას.

**შენიშვნა:** ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური ვარგისობის გამორკვევის დროს საქმისადმი არაკეთილსინდისიერი და მიკერძოებული დამოკიდებულების დაშვებისათვის, კომისიის წევრი ექიმები, ისევე როგორც გასაწვევთა სამედიცინო შესამოწმებლად მოწვეული ექიმები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 24. ავადმყოფობის გამო ვადის გაგრძელება (23 მუხლის პ. „ა") შეიძლება სულ ბევრი სამჯერ, რის შემდეგ გასაწვევს ან ნამდვილ სამსახურში მიიღებენ ან ომიანობის დროს არასამწყობრო სამსახურისათვის გამოსადეგად სცნობენ და თადარიგში გადარიცხავენ, ანდა სამხედრო სამსახურისათვის სრულიად უვარგისად სცნობენ და სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნიან.

მუხლი 25. სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, საერთო საფუძვლებზე უნდა მიეწერონ გასაწვევ უბანს. ნამდვილ სამსახურში გაწვევისათვის ისინი მოვალენი არიან სსრ კავშირში ჩამოვიდნენ და მიწერის ადგილზე გამოცხადდნენ საყოველთაოდ დადგენილ ვადაში.

მუხლი 26. ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათები მიეცემათ იმ გასაწვევთ, რომლებიც ოჯახში ერთადერთ მუშაკს წარმოადგენენ და თავიანთი შრომით ინახავენ ორ შრომისუნარმოკლებულ მშობელს.

შრომისუნარმოკლებულ მშობლებად ითვლებიან:

ა) 60 წლის ასაკს გადაცილებული მამა და 55 წლის ასაკს გადაცილებული დედა;

ბ) დედა და მამა—პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდები, მათი ასაკის დამოუკიდებლად.

მუხლი 27. შეღავათის მქონენი მშვიდობიანობის დროს ნამდვილი სამსახურისაგან თავისუფლდებიან და მეორე კატეგორიის თადარიგში ჩაირიცხებიან.

მუხლი 28. უკეთუ შეღავათის მქონე, რომელიც ჩარიცხულია მეორე კატეგორიის თადარიგში, შეცვლილი ოჯახური მდგომარეობის გამო, შეღავათის უფლებას დაჰკარგავს, იგი შეიძლება თადარიგიდან ნამდვილ სამსახურში იქნას გაწვეული, ამასთან ეს წესი ძალაში რჩება გაწვევის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი 29. ნამდვილ სამსახურში გაწვევის ვადა გაუგრძელდებათ საშუალო სკოლის მოსწავლეებს სკოლის დამთავრებამდე, მაგრამ არაუმეტეს 20 წლის ასაკისას.

მუხლი 30. დაპატიმრებული, გადასახლებული და გაძევებული, აგრეთვე სასამართლოს მიერ საარჩევნო უფლება ჩამორთმეული პირნი სასჯელის მოხდის პერიოდში არ გაიწვევიან არმიასა და ფლოტში.

### თავი III

### რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის თადარიგის შესახებ

მუხლი 31. ნამდვილი სამსახურის ვადის მოხდის შემდეგ სამხედრო მოსამსახურენი პირველი კატეგორიის თადარიგში ჩაირიცხებიან.

ახალწვეულნი, რომლებიც ზედმეტი აღმოჩნდნენ არმიისა და ფლოტის დაკომპლექტების განრიგის შესრულების შემდეგ, რომლებმაც ოჯახური მდგომარეობის გამო მიიღეს შეღავათი, აგრეთვე რომელნიც ომიანობის დროს არასამწყობრო სამსახურისათვის ვარგისად არიან ცნობილი (მუხლი 24), მეორე კატეგორიის თადარიგში ჩაირიცხებიან.

მეორე კატეგორიის მეთადარიგენი, რომლებიც თადარიგში არიან ჩარიცხულნი, როგორც განრიგის შესრულების შემდეგ ზედმეტად დარჩენილნი, თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით შეიძლება ნამდვილ სამსახურში იქნან გაწვეულნი თადარიგში ჩარიცხვის მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში.

**შენიშვნა.** ქალები 19-დან 50 წლის ასაკამდე, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი ამ კანონის 13 მუხლის წესით, მეორე კატეგორიის თადარიგში ჩაირიცხებიან.

მუხლი 32. პირველი და მეორე კატეგორიის თადარიგი იყოფა სამ თანრიგად თვითეული ასაკობრივი ნიშნის მიხედვით:

პირველი თანრიგი—35 წლის ასაკამდე;

მეორე თანრიგი—45 წლის ასაკამდე;

მესამე თანრიგი—50 წლის ასაკამდე.

მუხლი 33. პირველი თანრიგის პირველი კატეგორიის რიგითი შემადგენლობის მეთადარიგენი პირველი თანრიგის თადარიგში ყოფნის დროის განმავლობაში დაახლოებით ექვსჯერ გაიწვევიან ორთვიან სასწავლო შეკრებაზე.

პირველი თანრიგის პირველი კატეგორიის რიგითი შემადგენლობის მეთადარიგენი, რომლებსაც უმცროს მეთაურთა თანამდებობისათვის ამზადებენ, სასწავლო შეკრებაზე გაიწვევიან სამი თვის ვადით.

პირველი თანრიგის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მეთადარიგენი პირველი თანრიგის თადარიგში ყოფნის დროის განმავლობაში დაახლოებით ექვსჯერ გაიწვევიან სამთვიან სასწავლო შეკრებაზე.

**შენიშვნა:** სამხედრო-საჰაერო ძალთა ნაწილებზე მიწერილი საფრენოსნო შემადგენლობა თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით შეიძლება ამ მუხლით დადგენილ ვადებზე გადამეტებით იქნას გაწვეული საფრენოსნო-ტექნიკური ვარჯიშობისათვის სულ ბევრი თვეში სამჯერ.

მუხლი 34. პირველი თანრიგის მეორე კატეგორიის მეთადარიგენი ორთვიან შეკრებაზე ცხრაჯერ გაიწვევიან პირველი თანრიგის თადარიგში ყოფნის დროის განმავლობაში.

მუხლი 35. პირველი თანრიგის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მეთადარიგენი, რომლებსაც უმცროსი ლეიტენანტის (ან მისი თანაბარი) სახელწოდების მისაღებად ამზადებენ, სასწავლო შეკრებაზე სამი თვის ვადით გაიწვევიან.

ის პირნი, რომლებმაც გამოცდა ჩააბარეს უმცროსი ლეიტენანტის (ან მის თანაბარ) სახელწოდებაზე თადარიგში შემდგომ სამსახურს თადარიგის მეთაურთა საშუალო შემადგენლობასთან ერთად გადიან საერთო საფუძვლებზე. ის პირნი, რომელთაც გამოცდა ვერ ჩააბარეს, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის თადარიგში რჩებიან.

მუხლი 36. პირველი და მეორე კატეგორიის მეორე თანრიგის მეთადარიგენი მეორე თანრიგის თადარიგში ყოფნის დროის განმავლობაში დაახლოებით ხუთჯერ გაიწვევიან ერთთვიან სასწავლო შეკრებაზე.

მუხლი 37. პირველი და მეორე კატეგორიის მესამე თანრიგის მეთადარიგენი მესამე თანრიგის თადარიგში ყოფნის დროის განმავლობაში ერთი თვის სასწავლო შეკრებაზე გაიწვევიან.

მუხლი 38. სასწავლო შეკრების გარდა, მეთადარიგენი შეიძლება 10 დღის ვადით იქნან გაწვეულნი შესამოწმებელ შეკრებაზე.

საჭიროების შემთხვევაში თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრებს უფლება აქვთ ორ თვემდე ვადით დასტოვონ სამხედრო ვალდებულნი სასწავლო შეკრებაზე იმ ვადების გადამეტებით, რომლებიც ამ კანონით არის დადგენილი.

### თავი IV

### საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის შესახებ

მუხლი 39. მუშურ-გლეხური წითელი არმიის, მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საზღვრისპირა და შინადაცვის ჯარების საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის პირნი ნამდვილ სამსახურში და თადარიგში იმყოფებიან.

მუხლი 40. არმიისა და ფლოტის თადარიგში ჩაირიცხებიან უფროსთა შემადგენლობის პირნი მათ მიერ ნამდვილი სამსახურის ვადების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე თადარიგის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირნი, რომლებმაც ნამდვილი სამსახური დაამთავრეს და რომლებიც მომზადებული არიან საშუალო უფროსთა შემადგენლობის თანამდებობათა დასაკავებლად.

თადარიგი იყოფა სამ თანრიგად ასაკობრივი ნიშნის მიხედვით.

მუხლი 41. მუშურ-გლეხური წითელი არმიის, საზღვრისპირა და შინადაცვის ჯარების საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის პირნი ნამდვილ სამსახურში და თადარიგში იმყოფებიან შემდეგ ზღვრულ ასაკამდე:

| სახელწოდება | ზღვრული ასაკი | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნამდვილი სამსახური | 1-ლი თანრიგის თადარიგი | მე-2 თანრიგის თადარიგი | მე-3 თანრიგის თადარიგი |
| უმცროსი ლეიტენანტები, ლეიტენანტები, უმცროსი პოლიტხელმძღვანელები და მათი თანაბარნი . . . . . . . | 30 | 40 | 50 | 55 |
| უფროსი ლეიტენანტები, პოლიტხელმძღვანელები და მათი თანაბარნი . . . . . . . | 35 | 45 | 55 | 60 |
| კაპიტნები, უფროსი პოლიტხელმძღვანელები, მაიორები, ბატალიონის კომისრები და მათი თანაბარნი . . . . . . . | 40 | 50 | 55 | 60 |
| პოდპოლკოვნიკები, ბატალიონის უფროსი კომისრები, პოლკოვნიკები, პოლკის კომისრები და მათი თანაბარნი . . . . | 45 | 50 | 55 | 60 |
| ბრიგადის მეთაურები, ბრიგადის კომისრები და მათი თანაბარნი | 55 | 60 | — | 65 |
| დივიზიის მეთაურები, დივიზიის კომისრები, მათი თანაბარნი და მათზე უფროსნი . . . . . | 60 | 60 | — | 65 |

მუხლი 42. მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის და საზღვრისპირა ჯარების გემების საშუალო, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის პირნი ნამდვილ სამსახურში და თადარიგში იმყოფებიან შემდეგ ზღვრულ ასაკამდე:

| სახელწოდება | ზღვრული ასაკი | | | |
|---|---|---|---|---|
| | ნამდვილი სამსახური | 1-ლი თანრიგის თადარიგი | მე-2 თანრიგის თადარიგი | მე-3 თანრიგის თადარიგი |
| უმცროსი ლეიტენანტები, ლეიტენანტები, უფროსი ლეიტენანტები, უმცროსი პოლიტხელმძღვანელები, პოლიტხელმძღვანელები და მათი თანაბარნი . . | 35 | 40 | 45 | 50 |
| კაპიტან-ლეიტენანტები, უფროსი პოლიტხელმძღვანელები და მათი თანაბარნი . . . . | 40 | 45 | 50 | 55 |
| მე-3 რანგის კაპიტნები, ბატალიონის კომისრები და მათი თანაბარნი . . . . . . . . . | 45 | 50 | — | 55 |
| მე-2 რანგის კაპიტნები, პოლკის კომისრები და მათი თანაბარნი | 50 | 55 | — | 60 |
| 1-ლი რანგის კაპიტნები, ბრიგადის კომისრები და მათი თანაბარნი . . . . . . . . . | 55 | 60 | — | 65 |
| მე-2 რანგის ფლაგმანები, დივიზიის კომისრები, მათი თანაბარნი და მათზე უფროსნი . . | 60 | 60 | — | 65 |

მუხლი 43. თადარიგში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევისას უფროსთა შემადგენლობის პირნი თადარიგიდან თავისუფლდებიან.

მუხლი 44. თადარიგის უფროსთა შემადგენლობის პირნი სასწავლო და პრაქტიკულ შეკრებებს გადიან:

ა) 1-ლი თანრიგის თადარიგში მყოფნი შეიძლება გაწვეულ იქნან ყოველწლიურად 3 თვემდე ვადით;

ბ) მე-2 თანრიგის თადარიგში მყოფნი გაიწვევიან არა უმეტეს სამ-სამი თვის ხანგრძლივობის ორ შეკრებაზე;

გ) მე-3 თანრიგის თადარიგში მყოფნი გაიწვევიან ორთვიან ერთ შეკრებაზე;

დ) ერთი სასწავლო შეკრებიდან მეორე შეკრებამდე თადარიგის უფროსთა შემადგენლობა შეიძლება გაწვეულ იქნას შესამოწმებელ შეკრებაზე 10 დღემდე ვადით.

უფროსთა შემადგენლობის თადარიგში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში შეკრებათა საერთო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 36 თვეს.

თადარიგის უფროსთა შემადგენლობის სხვადასხვა ჯგუფისა და სპეციალობისათვის ამ მუხლით დაწესებულ ფარგლებში შეკრების ვადებს კუთვნილებისამებრ საზღვრავენ თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრები.

საჭიროების შემთხვევაში თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრებს უფლება აქვთ ამ კანონით გათვალისწინებული ვადების გადამეტებით დასტოვონ სასწავლო შეკრებაზე ორ თვემდე ვადით თადარიგის უფროსთა შემადგენლობის პირნი.

### თავი V

### სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო ვალდებულთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 45. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურენი და სასწავლო შეკრებაზე გაწვეული სამხედროვალდებულნი საბჭოთა მოქალაქეების სრული უფლებებით სარგებლობენ და ყველა მათი მოვალეობა აწევთ.

სამხედრო მოსამსახურეთა უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც სამხედრო სამსახურის პირობებიდან გამომდინარეობენ, წესდება ამ კანონითა და სამხედრო წესდებებით.

მუხლი 46. არმიასა და ფლოტში სასწავლო შეკრებაზე გაწვეული ყველა სამხედროვალდებული შეკრების ხნის განმავლობაში უზრუნველყოფილია ნატურალური კმაყოფით სახელმწიფოს ხარჯზე.

მუხლი 47. მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი წესით ეძლევათ შვებულება იმ ხნით, რაც საჭიროა გაწვევასა და სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებული საქმეების გამო გამოცხადებისათვის.

მუხლი 48. სასწავლო შეკრებაზე გაწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს შეკრების ხნის განმავლობაში ენახებათ მუშაობის ადგილი ან თავიანთი თანამდებობა და მუშაობის ადგილიდან ეძლევათ თავიანთი საშუალო ხელფასის ნახევარი.

სასწავლო შეკრებაზე გაწვეულ კოლმეურნეებს შეკრების ხნის განმავლობაში კოლმეურნეობა დაურიცხავს შრომადღეების იმ საშუალო რაოდენობის ნახევარს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დაერიცხება იმავე სპეციალობისა და კვალიფიკაციის სხვა კოლმეურნეებს.

მუხლი 49. თადარიგის უფროსთა შემადგენლობის პირნი შეკრების ხნის განმავლობაში ჯარის ნაწილისაგან იღებენ დღიურს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია დებულებებით არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის ფულადი კმაყოფის შესახებ.

მუხლი 50. თადარიგის უფროსთა შემადგენლობას საცხოვრებელი ადგილიდან შეკრების ადგილამდე წასასვლელად და უკან გასაბრუნებლად ეძლევა სამხედრო გადასაყვანი დოკუმენტები და დღიური იმ დროისა, რასაც იგი გზაში დაჰყოფს (მუხ. 49).

მუხლი 51. ფულადი კმაყოფა, რასაც სამხედრო მოსამსახურენი და სამხედრო-ვალდებულნი იღებენ არმიისა და ფლოტისაგან, ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისაგან თავისუფლდება.

მუხლი 52. სამხედრო მოსამსახურენი და მათი ოჯახები არ შეიძლება ადმინისტრატიული წესით გასახლებულ იქნან საცხოვრებელი სადგომებიდან.

მუხლი 53. უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი მათ მიერ დაკავებული საბინაო ფართობის ქირას შეღავათიანი განაკვეთებით იხდიან მოქმედი კანონის თანახმად.

მუხლი 54. წითელარმიელთა და ვადიანი სამსახურის უმცროს მეთაურთა წერილები, რომლებსაც ჯარის ნაწილი ჰგზავნის, უფასოდ იგზავნება. უფასოდ იგზავნება აგრეთვე წერილები, რომლებიც ეგზავნებათ წითელარმიელებსა და ვადიანი სამსახურის უმცროს მეთაურებს მათი სამსახურის ადგილზე.

ნამდვილი სამსახურის პირველი წლის განმავლობაში წითელარმიელები სარგებლობენ უფლებით უფასოდ გაგზავნონ საკუთარი ტანისამოსის, თეთრეულისა და ფეხსაცმლის ერთი საფოსტო ამანათი.

მუხლი 55. უფროსთა შემადგენლობის პირნი, რომელნიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, და მათი ოჯახები რკინიგზით, წყლის, საავტომობილო და საჰაერო გზებით მგზავრობის დროს შეღავათებით სარგებლობენ ჯარის გადაყვანის შესახები დებულების თანახმად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხლი 56. უბედური შემთხვევების ან დაჭრის შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო უზრუნველყოფა, უფროსთა შემადგენლობის პირებისა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის ნამსახურობისათვის პენსიების მიცემა, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახისათვის პენსიისა და დახმარების მიცემა ხდება იმ დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხლი 57. სადისციპლინო დანაშაულისათვის, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არასწორი მოქმედებით სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალისათვის სამხედრო მოსამსახურენი და სასწავლო შეკრებაზე გაწვეული სამხედროვალდებულნი პასუხს აგებენ სამხედრო სადისციპლინო წესდების მიხედვით.

სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე სასწავლო შეკრებაზე გაწვეული სამხედროვალდებულნი პასუხს აგებენ სამხედრო დანაშაულთა შესახები დებულების თანახმად.

### თავი VI

### სამხედრო აღრიცხვის შესახებ

მუხლი 58. თანახმად დებულებისა, რომელსაც ამტკიცებს თავდაცვის სახალხო კომისარი, სწარმოებს ყველა სამხედრო-ვალდებულის სპეციალური აღრიცხვა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 59. ყველა სამხედრო-ვალდებულისა და ახალწვეულის პირველადი აღრიცხვა ეკისრება სამხედრო-საღრიცხვო მაგიდებს: ქალაქებში—მუშურ-გლეხური მილიციის განყოფილებებში, ხოლო სოფელ-ადგილას და დაბებში — სასოფლო და სადაბო საბჭოებში.

**შენიშვნა:** სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვას, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობანი და საკონსულოები აწარმოებენ.

მუხლი 60. თადარიგის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პერსონალურ (ხარისხობრივ) აღრიცხვას აწარმოებენ სამხედრო-საღრიცხვო მაგიდები, ხოლო რიცხვობრივ აღრიცხვას—ჯარის გვარეობისა და სამხედრო სპეციალობათა მიხედვით—რაიონული (საქალაქო) სამხედრო კომისარიატები.

მუხლი 61. თადარიგის უფროსთა შემადგენლობის პერსონალური (ხარისხობრივი) აღრიცხვა სწარმოებს რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებში.

მუხლი 62. ახალწვეულთა პერსონალური (ხარისხობრივი) აღრიცხვა სწარმოებს რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებში.

მუხლი 63. სამხედრო-ვალდებული, რომელიც მუდმივ (თვენახევარზე მეტი ხნით) საცხოვრებლად არის ჩასული ქალაქში ან იმავე ქალაქის მილიციის სხვა განყოფილების რაიონში, ვალდებულია პასპორტთან ერთად ჩააბაროს სახლმმართველობას (სახლის პატრონს) თავისი სამხედრო ბილეთი, რათა ერთდროულად იქნას გაწერილი და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი.

სამხედრო აღრიცხვაზე გასატარებლად სამხედრო-ვალდებულის პირადი გამოცხადება მილიციის განყოფილებაში სავალდებულო არ არის.

მუხლი 64. სამხედრო-ვალდებული, რომელიც ქალაქიდან მუდმივ (თვენახევარზე მეტი ხნით საცხოვრებლად გადადის სხვა ადგილში ან იმავე ქალაქის მილიციის სხვა განყოფილების რაიონში, ვალდებულია გადასცეს სახლმმართველობას (სახლის პატრონს) სამხედრო ბილეთი სამხედრო აღრიცხვიდან მოსახსნელად.

მუხლი 65. სამხედრო-ვალდებული, რომელიც მუდმივ (თვენახევარზე მეტი ხნით) საცხოვრებლად არის ჩასული სოფელ-ადგილას, ვალდებულია სამი დღის ვადაში პირადად გამოცხადდეს სასოფლო საბჭოში და თავისი სამხედრო ბილეთი წარადგინოს სამხედრო აღრიცხვაზე გასატარებლად.

მუხლი 66. სამხედრო-ვალდებული, რომელიც სოფელ-ადგილიდან მუდმივ (თვენახევარზე მეტი ხნით) საცხოვრებლად მიდის სხვა ადგილში ან იმავე რაიონის სხვა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, ვალდებულია პირადად გამოცხადდეს სოფლის საბჭოში სამხედრო აღრიცხვიდან მოსახსნელად და წარადგინოს თავისი სამხედრო ბილეთი.

მუხლი 67. 63-66 მუხლებით დაწესებული საღრიცხვო წესების დაუცველობისათვის სამხედრო-ვალდებულნი ადმინისტრატიული წესით ჯარიმდებიან 100-მდე მანეთით ან პასუხისგებაში მიიცემიან სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 68. სამხედრო-ვალდებული მოსახლეობის აღრიცხვის ხელმძღვანელობას ანხორციელებს თავდაცვის სახალხო კომისარიატი.

მუშურ-გლეხური მილიციის მთავარ სამმართველოს ეკისრება კონტროლი იმისა, რომ მილიციის ყველა განყოფილებამ ზუსტად დაიცვას თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული სამხედრო-საღრიცხვო წესები.

მუხლი 69. მილიციის ორგანოები ვალდებული არიან:

ა) თვალყური ადევნონ 63-66 მუხლებით დაწესებული საღრიცხვო წესების შესრულებას სახლმმართველობათა (სახლის პატრონთა) მიერ.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

## სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესია

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

## საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის ინფორმაცია საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.
2. რატიფიცირებულ იქნას თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიას შორის მოსკოვში 1939 წლის 23 აგვისტოს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 31 აგვისტო.

## კანონი საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების შესახებ

### (დასასრული)

გ) მოსძებნონ ის პირნი, რომელნიც თავს არიდებენ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 70. მილიციის ორგანოები და სასოფლო საბჭოები ვალდებული არიან გაიძახონ სამხედრო ვალდებულნი სამხედრო კომისარიატებსა და ჯარის ნაწილებში უკანასკნელთა მოთხოვნით.

მუხლი 71. საწარმოებსა და დაწესებულებებს ევალებათ აწარმოონ ამ საწარმოს ან დაწესებულების სამხედრო ვალდებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო განათლებისა და ტექნიკურ მომზადებაში მომხდარ ცვლილებათა აღრიცხვა, აგრეთვე მათ სამსახურებრივ მდგომარეობაში მომხდარ ცვლილებათა აღრიცხვა.

### თავი VII

### მობილიზაციითა და ომის დროს გაწვევის შესახებ

მუხლი 72. მობილიზაცია ცხადდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით (სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის პ. „ლ“).

მობილიზაციით გაწვევა და ომიანობის დროის შემდგომი გაწვევანი ხდება თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 73. მობილიზაციის გამოცხადების დროს:

ა) არმიისა და ფლოტის რიგებში ამ დროისათვის მყოფი ყველა პირი დატოვებული იქნება განსაკუთრებულ განკარგულებამდე;

ბ) სამხედრო ნაწილებზე მიწერილი სამხედრო ვალდებულნი ცხადდებიან იმ პუნქტზე და იმ ვადაში, რომლებიც აღნიშნულია სამობილიზაციო მიწერილობაში, ხოლო მიუწერელნი გაიწვევიან თავდაცვის სახალხო კომისრის განსაკუთრებული ბრძანებით.

მუხლი 74. ომიანობის დროს გაწვეულთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფა (პენსიები და დახმარება) სწარმოებს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

### თავი VIII

### ახალგაზრდობის დაწყებითი და წვევამდელი სამხედრო მომზადების შესახებ

მუხლი 75. მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადება ტარდება ყველა სკოლაში, დაწყებული მე-5-დან მე-7 კლასამდე ჩათვლით.

მუხლი 76. დაწყებითს სამხედრო მომზადებას სკოლების სასწავლო გეგმაში ორ-ორი საათი ეთმობა ექვსდღიურში.

მუხლი 77. წვევამდელ სამხედრო მომზადებას გადიან:

ა) საშუალო სკოლის სამი უფროსი კლასის (8, 9 და 10 კლასები) და მის შესაბამის სასწავლებელთა (ტექნიკუმები, მუშფაკები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები და სხვ.) მოსწავლეები;

ბ) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, იმათ გარდა, ვისაც გავლილი აქვს ნამდვილი სამსახური.

საშუალო სკოლებში ან მათთან გათანაბრებულ სასწავლებლებში წვევამდელ სამხედრო მომზადებას ორ-ორი საათი ეთმობა ექვსდღიურში.

მუხლი 78. დაწყებითს და წვევამდელ სამხედრო მომზადებას სასწავლებლებში ატარებენ შტატის სამხედრო ხელმძღვანელები, რომელთაც ხელფასი ეძლევათ სათანადო სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვით.

მუხლი 79. დაწყებითი და წვევამდელი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელობა ეკისრება თავდაცვის სახალხო კომისარიატს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 1 სექტემბერი.

## ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება

გუშინ საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. დ. კუჭავამ.

კრების დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი—გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილება ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნების მუშაობის შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქარხნის ტექნიკური დირექტორი ამხ. ა. ხოჯაშვილი.

მოხსენების გარშემო გაიშალა კამათი, რომელშიაც პირველ სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს: ორდენოსანმა ამხ. მ. გეწაძემ, ნ. ლოლაძემ (შრომის ინსპექტორი), პ. ნალბანდოვმა (მიღება-დათხოვნის განყ.), ზ. ნადირაძემ (ელექტროშემდუღებელი საამქროს სტახანოველი), ბ. სარიშვილმა (საწარმოო განყ. უფროსი), ვლ. ჩერკასოვმა (ამწყობი საამქროს ოსტატი) და ს. ზაზაევმა (საბარგო-სავაგონო საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი).

კრებამ აირჩია კომისია 19 კაცის შემადგენლობით პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

## ლატვიის დელეგაცია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

2 სექტემბერს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ეწვია მოსკოვში ჩამოსული ლატვიის დელეგაცია, ლატვიის მიწათმოქმედების მინისტრის ბ-ნ ბირზნეკსის და სსრ კავშირში ლატვიის ელჩის ბ-ნ კოცინშის მეთაურობით.

დელეგაცია მიიღო გამოფენის დირექტორმა, აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა. (საქდესი).

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის გასაწვევი პუნქტი. სურათზე: წვევამდელთა ჯგუფი გასაწვევი პუნქტის წითელ კუთხეში.
ფოტო რ. ლაპინსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

## კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

### თავი I

### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება:

ა) კოლმეურნეთა—სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და კომუნების, შერეული სარეწაო სასოფლო-სამეურნეო არტელების (სარეწაო კოლმეურნეობების) და თევზჭერის არტელების წევრთა, აგრეთვე მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობების („ტოზ“-ების) წევრთა პირადი მეურნეობის შემოსავალი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა შემოსავალი, რომელსაც იღებენ სოფელ ადგილას მემინდვრეობიდან, მეცხოველეობიდან, მებოსტნეობიდან, მებაღეობიდან და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან.

მუხლი 2. გადასახადი თვითეულ მეურნეობაზე შემდეგი წყაროების შემოსავლის მიხედვით გამოიანგარიშება:

ა) მემინდვრეობისა, ყველა სახის პირუტყვისა, სათიბებისა, მებოსტნეობისა, მებაღჩეობისა, მეთამბაქოობისა, ტექნიკურ და ზეთოვან კულტურათა ნათესებისა, ბაღებისა, საკენკრეებისა, ვენახებისა და სხვა ნარგავებისა, მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა;

ბ) არაკოოპერირებული შინამრეწველურ-ხელოსნური მოსაქმეობისა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

არაკოოპერირებული შინამრეწველური-ხელოსნური მოსაქმეობის და გარეთ მიღებული სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრის შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

### თავი II

### დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის წესი

მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო წყაროების დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმების მიხედვით:

| შემოსავლიანობა ჰექტარზე (მანეთობით) | რუსეთის სფსრ | უკრაინის სსრ | ბელორუსიის სსრ | აზერბაიჯანის სსრ | საქართველოს სსრ | სომხეთის სსრ | თურქმენეთის სსრ | უზბეკეთის სსრ | ტაჯიკეთის სსრ | ყაზახეთის სსრ | ყირგიზეთის სსრ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესისა, ქვემოჩამოთვლილი კულტურების გამოკლებით | 540 | 540 | 540 | 540 | 540 | 540 | 540 | 540 | 540 | 350 | 540 |
| კარტოფილის ნათესისა | 1200 | 1300 | 1300 | 1100 | 1100 | 1100 | 1100 | 1100 | 1100 | 1100 | 1100 |
| საბოჭკოე სელის ნათესისა | 500 | 500 | 500 | — | — | — | — | — | — | 500 | — |
| ბამბის ნათესისა | — | — | — | 2000 | 2000 | 2000 | 1500 | 2000 | 2000 | 1500 | 1500 |
| კანაფის ნათესისა | 750 | 900 | 1000 | — | — | — | — | — | — | 850 | — |
| თამბაქოს ნათესისა | 1700 | 1100 | — | 2000 | 2500 | 2500 | — | 1700 | — | 1400 | 1400 |
| წეკოს ნათესისა | 950 | 1000 | 700 | — | — | — | — | 950 | — | 700 | 750 |
| ბოსტნებისა და ბაღჩებისა | 2500 | 2500 | 2400 | 2600 | 2600 | 2600 | 3000 | 3100 | 3000 | 3100 | 3100 |
| ბაღებისა და საკენკრეებისა | 3500 | 3500 | 3000 | 4000 | 4000 | 4000 | 4000 | 5000 | 5000 | 4000 | 4000 |
| ვენახებისა | 7000 | 5500 | — | 6500 | 6000 | 7000 | 5500 | 7000 | 5500 | 5500 | 5500 |
| სათიბებისა | 300 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 | 300 | 300 | 300 | 300 | 400 |
| თითო სული პროდუქტიული საქონლის შემოსავლიანობა | | | | | | | | | | | |
| ძროხისა | 600 | 600 | 600 | 350 | 350 | 400 | 400 | 400 | 350 | 500 | 500 |
| ცხვრისა და თხისა | 40 | 40 | 40 | 30 | 30 | 30 | 50 | 50 | 50 | 50 | 60 |
| ღორისა | 300 | 300 | 300 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 |
| თავის მეურნეობაში მუშა-საქონლის გამოყენებით მიღებული შემოსავლიანობა | | | | | | | | | | | |
| ცხენისა, აქლემისა, ჯორისა | 500 | 500 | 500 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 | 400 |
| ხარისა, ბუღა-ხარისა და კამეჩისა | 300 | 300 | 300 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 |

მუხლი 4. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, შემოსავლიანობის იმ საშუალო ნორმების საფუძველზე, რომლებიც დაწესებულია ამ კანონის მე-3 მუხლით, უფლება აქვთ ცალკეული რაიონებისათვის 30 პროცენტის ფარგლებში გაადიდონ ან შეამცირონ ნორმები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და კულტურის ხაზით, რაიონების ეკონომიურ თავისებურებათა მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მე-3 მუხლში მოუხსენებელ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესის შემოსავლიანობის ნორმებს განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შემოსავლიანობის იმ ნორმებთან შეფარდებით, რომლებიც ჩამოთვლილია მე-3 მუხლში.

მეირმეობის, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის შემოსავლიანობის ნორმებს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

მუხლი 5. მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მეთამბაქოობის, მებაღჩეობის, ტექნიკურ და ზეთოვან კულტურათა ნათესების, მრავალწლიანი ნარგავებისა და სათიბების დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება:

ა) საშემოდგომო და საზაფხულო კულტურების ნათესის მთელი ფართობის მიხედვით, მაგრამ ეს ფართობი იმაზე ნაკლები არ უნდა იყოს, რაც მიმდინარე წლის მოსავლისათვის განსაზღვრულია თესვის სახელმწიფო გეგმით, იმ კულტურებისათვის კი, რომელთა თესვის გეგმა დაწესებული არ არის, შემოსავალი ფაქტიური ნათესის მიხედვით განისაზღვრება;

ბ) ბაღების, საკენკრეების, ვენახებისა და მსხმოიარე ასაკის სხვა მრავალწლიანი ნარგავების ფაქტიური ფართობის მიხედვით;

გ) სათიბების ფაქტიური ფართობის მიხედვით.

მუხლი 6. პირუტყვის და მეფუტკრეობის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ყველა მეურნეობაში შესაბამისი წლის 1 ივლისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით მხედველობაში მიიღება:

ა) პროდუქტიული პირუტყვი: ძროხა, გამოზამთრებული ცხვარი და თხა, აგრეთვე ექვსი თვისაზე მეტი ასაკის ღორი;

ბ) მუშა პირუტყვი: ბუღა - ხარი, ხარი და ირემი 2½ წლის ასაკიდან დაწყებული; ცხენი, აქლემი, კამეჩი და ჯორი 3 წლის ასაკიდან დაწყებული;

გ) ჩარჩოიანი სკისა და ბუკის რაოდენობა.

მუხლი 7. არაკოოპერირებული შინამრეწველურ-ხელოსნური მოსაქმეობისა და სხვა არასამიწათმოქმედო საშოვრის შემოსავალთა განსაზღვრისას, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება, მხედველობაში მიიღება მთელი თანხა შემოსავალთა, რომლებიც მიღებულია წინა წლის 1 ივლისიდან მიმდინარე წლის 30 ივნისამდე.

### თავი III

### კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის შემოსავალზე გადასახადის გამოანგარიშების წესი

მუხლი 8. იმ კოლმეურნეთა მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელთაც აქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, პირუტყვისა და არასამიწათმოქმედო საშოვრების შემოსავალი, გამოიანგარიშება მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის წლიური თანხის მიხედვით (მუხლები 5-7), განაკვეთთა შემდეგი ცხრილის თანახმად:

| მეურნეობის დასაბეგრი წლიური შემოსავლის რაოდენობა | მეურნეობის გადასახადის რაოდენობა |
|---|---|
| 700 მანეთამდე | 50 მანეთი |
| 700 მანეთიდან 1000 მანეთამდე | 50 მან.+8 კაპ. 700 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 1000 მანეთიდან 2000 მანეთამდე | 74 მან.+9 კაპ. 1000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 2000 მანეთიდან 3000 მანეთამდე | 164 მან.+11 კაპ. 2000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 3000 მანეთიდან 4000 მანეთამდე | 274 მან.+13 კაპ. 3000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 4000 მანეთზე მეტი | 404 მან.+15 კაპ. 4000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |

კოლმეურნეთა შემოსავალი, რომელიც შრომადღეების მიხედვით არის მიღებული კოლმეურნეობისაგან ფულადი და ნატურალური სახით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება.

მუხლი 9. მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობათა („ტოზ“-ების) წევრების მეურნეობისათვის გამოანგარიშებული გადასახადის თანხა 10 პროცენტით დიდდება.

მუხლი 10. კოლმეურნეობიდან გასულ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გადაჰხდება ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისათვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით.

თუ საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში ოჯახის ცალკეული შრომისუნარიანი წევრები კოლმეურნეობის წევრები არ არიან ან კოლმეურნეობიდან გავიდნენ და დაქირავებით არ მუშაობენ, ასეთი მეურნეობის გადასახადის გამოანგარიშებული თანხა 20 პროცენტით დიდდება.

### თავი IV

### კოლმეურნეობის არაწევრის მეურნეობის დაბეგვრა

#### ა) იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა და სარეწაო კოოპერატიული არტელების წევრთა მეურნეობის დაბეგვრა, რომელთაც სოფელ-ადგილას აქვთ სოფლის მეურნეობა

მუხლი 11. მეურნეობა კოლმეურნეობის არა წევრი მუშებისა და მოსამსახურეებისა, აგრეთვე მეურნეობა სარეწაო კოოპერატიული არტელების წევრებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, სასოფლო - სამეურნეო გადასახადს კოლმეურნეთა მეურნეობების თანაბარ საფუძველზე იხდიან იმ პირობით:

ა) თუ ძირითადი შრომისუნარიანი მუშაკი მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის მუდმივ სამუშაოზე იმყოფება დაქირავებით ან სარეწაო კოოპერატიული არტელის წევრია ერთ წელიწადს მაინც, ხოლო ოჯახის დანარჩენი შრომისუნარიანი წევრები, გარდა დიასახლისისა და მოსწავლეთა, აგრეთვე დაქირავებით მუშაობენ ან სარეწაო კოოპერატიული არტელის წევრები არიან.

ბ) თუ პირუტყვის რაოდენობა არ აღემატება სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით ნებადართულ ნორმებს.

მუხლი 12. კოლმეურნეთა მეურნეობის თანაბარ საფუძველზე იბეგრება კოლმეურნეობის იმ არაწევრთა მეურნეობანი, სადაც ძირითადი შრომისუნარიანი მუშაკი ან ოჯახის სხვა წევრი წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში ან სანაპირო და შინაგან ჯარში კანონის მე-11 მუხლის პირობებს აკმაყოფილებენ.

მუხლი 13. რკინიგზის, წყლის, გზატკეცილებისა და ყამირგზის ტრანსპორტის სახაზო მუშაკთა პირადი სოფლის მეურნეობა, რომელიც ტრანსპორტისათვის დათმობილ მიწებზე სწარმოებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს კოლმეურნეთა განაკვეთების მიხედვით იხდის, თუ ტრანსპორტის მიწებზე მიწის ნაკვეთები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებულ ნორმებს არ აღემატება, და თუ დანარჩენი მხრივ ისინი სავსებით აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-11 მუხლში აღნიშნულ პირობებს.

მუხლი 14. ტყის დაცვის მუშაკები, რომელნიც პირად სოფლის მეურნეობას მისდევენ მათ მიერ დასაცავი ტყის ტერიტორიაზე ან სოფელში, სადაც ისინი ცხოვრობენ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან კოლმეურნეთა განაკვეთების მიხედვით, თუ მათი მეურნეობანი ტყეში და სოფელში, სათიბის ჩაუთვლელად, რაც მათ გამოყოფილი აქვთ ტყეში, სავსებით აკმაყოფილებენ კანონის მე-11 მუხლში აღნიშნულ პირობებს, ხოლო ტყის დასაცავად სამსახურებრივი მისვლა-მოსვლისათვის მათ განკარგულებაში მყოფ ცხენს გარე-საშოვრის მისაღებად არ იყენებენ.

მუხლი 15. მეურნეობანი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ კანონის 11-14 მუხლებში აღნიშნულ პირობებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თანაბრად იბეგრებიან.

#### ბ. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა დაბეგვრა

მუხლი 16. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება სოფლის მეურნეობის და არასამიწათმოქმედო საშოვრის მიხედვით ამ კანონის 3, 5, 6 და 7 მუხლებით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, ერთპიროვნული მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში მთლიანად შეიტანება ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

მუხლი 17. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში, რომლებმაც შემოსავლის წყაროთა აღრიცხვის ჩატარების მომენტისათვის, თავიანთი კუთვნილი დასაბეგრი ასაკის პირუტყვი გაჰყიდეს ან პირადი საჭიროებისათვის გამოიყენეს, დასაბეგრ შემოსავალში შეიტანება თანხა შემოსავლიანობის დაწესებული ნორმების ოდენობით.

მუხლი 18. პირუტყვი, რომელიც ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობის მიერ შეძენილია გადამხდელთა სიების შედგენის შემდეგ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე, დამატებით აღირიცხება მეურნეობაში, და სათანადოდ დიდდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავდაპირველად გამოანგარიშებული თანხა.

მუხლი 19. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთების შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა. | მეურნეობისათვის შეწერილი გადასახადის ოდენობა. |
|---|---|
| 1.000 მანეთამდე | 110 მანეთი. |
| 1.000-დან 2.000 მანეთამდე | 110 მ.+16 კ. 1.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 2.000-დან 3.000 მანეთამდე | 270 მ.+20 კ. 2.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 3.000-დან 4.000 მანეთამდე | 470 მ.+25 კაპ. 3.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 4.000-დან 5.000 მანეთამდე | 720 მ.+31 კ. 4.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 5.000-დან 6.000 მანეთამდე | 1030 მ.+38 კ. 5.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |
| 6.000 მანეთზე მეტი | 1.410 მ.+45 კ. 6.000 მანეთის გადაჭარბებით მიღებულ თითო მანეთ შემოსავალზე. |

მუხლი 20. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის პირველ ვადამდე შევიდნენ კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა განაკვეთების მიხედვით იბეგრებიან.

იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის პირველი ვადის შემდეგ შევიდნენ კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა განაკვეთების მიხედვით გადასახადის გადაანგარიშება მხოლოდ იმ ვადებისათვის ხდება, რომლებიც კოლმეურნეობაში შესვლის დროისათვის ჯერ კიდევ არ დამდგარა.

### თავი V

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის ვადები

მუხლი 21. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეიტანება თანაბარ ნაწილებად სამ ვადაში: 1 ოქტომბრისათვის, 1 ნოემბრისათვის და 1 დეკემბრისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს შეუძლიათ მოაახლოონ გადახდის პირველი ვადა არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვით.

### თავი VI

### შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში

მუხლი 22. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა იმ მეურნეობებისათვის, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ომისა და შრომის 1 და 2 ჯგუფის ინვალიდობის ინვალიდები, გადასახადის თანხა სანახევროდ მცირდება, ხოლო თუ ამ მეურნეობებში შრომისუნარიანი პირნი არ არიან, ეს მეურნეობანი მთლიანად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

მუხლი 23. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან მოხუცებულობის გამო (მამაკაცები 60 წლისა და მეტი ასაკის, ქალები 55 წლისა და მეტი ასაკის) შრომისუნარმოკლებულ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ ოჯახის ისეთი შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც პირადი შრომით იღებენ მონაწილეობას მეურნეობაში.

მუხლი 24. გადასახადისაგან თავისუფლდებიან იმ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი, რომელთა შვილი ან თვით ოჯახის მეთაური მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან საზღვრისპირა და შინადაცვის ჯარის ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება, თუ ოჯახში არ დარჩენილან შრომისუნარიანი სხვა წევრები, გარდა სამხედრო მოსამსახურის ცოლისა, რომელსაც ჰყავს შვილები 8 წლის ასაკამდე.

მუხლი 25. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში ოჯახის ერთი შრომისუნარიანი წევრი და ორი და მეტი ბავშვია, ან ოჯახის ორი შრომისუნარიანი წევრი და სამი ან მეტი ბავშვია 12 წლის ასაკამდე, გადასახადი უმცირდებათ გამოანგარიშებული თანხის 15 პროცენტის რაოდენობით.

მუხლი 26. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობებს მიყენებული ზარალის რაოდენობის მიხედვით მთლიანად ან ნაწილობრივ ანთავისუფლებენ გადასახადისაგან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

მუხლი 27. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან მასწავლებლები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მიწათმომწყობები, სამედიცინო და ვეტერინარი ექიმები და ფერშლები, ბებია-ქალები, მელიორატორები და სოფლის მეურნეობის ტექნიკოსები, მტს-ების, მანქანატრაქტორთა სახელოსნოებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინრები, უფროსი მექანიკოსები და დირექტორები, აგრეთვე რაიონული ხელმძღვანელი მუშაკები არაუმეტეს 30 კაცისა რაიონზე, იმ სიების მიხედვით, რომლებსაც დააწესებენ საოლქო (სამხარეო) აღმასკომები და რესპუბლიკათა (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) სახკომსაბჭოები, თუ მათს მეურნეობებს მინდვრის ნაკვეთებზე თესვის დავალება არა აქვთ და პირად სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვის ისეთი სულადობა, რომელიც არ აღემატება მოცემული რაიონის კოლმეურნეებისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ რაოდენობას.

მუხლი 28. კოლმეურნეობათა იმ წევრებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მეურნეობანი, რომლებიც დადგენილი წესით გადასახლდებიან, გადასახადისაგან თავისუფლდებიან ვადით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ დადგენილებათა შესაბამისად.

მუხლი 29. ოქროსა და პლატინის მრეწველობის მძებნელთა, კალისა და სხვა იშვიათი ლითონების მომპოვებელ და გადამმუშავებელ საწარმოთა იმ მძებნელების მეურნეობანი, რომლებიც ამ ლითონის საბადოების ძებნასა და გამოკვლევას ეწევიან, გადასახადისაგან თავისუფლდებიან თუ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სამძებნელო სამუშაოებზე აღებული ხელფასი და თუ ისინი გაერთიანებული არიან მძებნელთა არტელებში.

აღნიშნული შეღავათი გამოყენებული იქნება გადასახადის გადახდის იმ ვადების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არ დამდგარა სამძებნელო სამუშაოზე გადასვლის დროისათვის.

მუხლი 30. გადასახადისაგან თავისუფლდებიან იმ პირთა მეურნეობანი, რომლებიც კონტრაქტაციის ან თვითმიმაგრების წესით მიემაგრნენ მიწისქვეშა სამუშაოებს ქვანახშირის მრეწველობაში ერთი წლის ვადით მაინც.

თუ მათ აღნიშნული ვალდებულებანი არ შეასრულეს, გადასახადი საერთო საფუძვლებზე გადაჰხდებათ.

მუხლი 31. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება ენიჭება გაანთავისუფლოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან როგორც მთელი მოსახლეობა, ისე ცალკეული კატეგორიები იმ მოქალაქეებისა, რომლებიც სსრ კავშირის განაპირა რაიონებში ცხოვრობენ.

მუხლი 32. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დააწესოს საჭირო შემთხვევაში შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხაზით, რათა სტიმული მიეცეს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას.

### თავი VII

### გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა

მუხლი 33. შემოსავლის წყაროების დამალვისათვის გადასახადის გადამხდელნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიიცემიან.

მუხლი 34. დაწესებულ ვადებში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევებში მონარჩენეთა მიმართ მიღებული იქნება სასჯელის ზომები:

ა) გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის გადაჰხდებათ საურავი 0,2 პროცენტის ოდენობით თვითეული გადაცილებული დღისათვის;

ბ) გადასახადის შეტანის ვადის გავლისას მონარჩენეთა ქონება აღიწერება და საქმე გადასახადის გადაუხდელობის შესახებ გადაეცემა სახალხო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებითაც არგადამხდელს ნარჩენის დასაფარავად საჭირო რაოდენობით ჩამოერთმევა ქონება.

გ) თუ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევა არაერთგზისია, მონარჩენები მიიცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მუხლი 35. განცხადებისა და საჩივრის შეტანა გადასახადის გადახდევინებას არ აჩერებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ არის გამოტანილი, არასწორად გადახდევინებული თანხა და ჩამორთმეული ქონება ანაზღაურებულ უნდა იქნას 10 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ქონების დაბრუნება, მისი გაყიდვის გამო, შეუძლებელია, ანაზღაურებულ უნდა იქნას მისი ღირებულება რეალიზაციით ფაქტიურად მიღებული თანხის ოდენობით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 1 სექტემბერი.

# რეიტერის სააგენტოს ცნობა პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

**ლონდონი,** 2 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვარშავიდან იუწყება, რომ გუშინ ვარშავის აღმოსავლეთ განაპირა რაიონების თავზე გამოჩნდა გერმანიის 41 თვითმფრინავი. ყუმბარმტყორცნებს მარჯვედ დაუშინა ყუმბარები საზენიტო არტილერიამ, რამაც აიძულა ისინი დიდ სიმაღლეზე ეფრინათ. ერთი ყუმბარმტყორცნი, რომელიც დაბლა მიფრინავდა მოულოდნელად დაეცა ძირს და ჩამოყარა დიდი მფეთქებადი ძალის 6 ყუმბარა და რამდენიმე ცეცხლწამკიდი ყუმბარა.

## პოლონეთის მთავრობის კომუნიკე

**ვარშავა,** 2 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა მთავრობის შემდეგი კომუნიკე:

„გუშინ გერმანიის სახმელეთო და საჰაერო ძალებმა აგრესია ჩაიდინეს პოლონეთის მიმართ პოლონეთ-გერმანიის საზღვრის მთელს მანძილზე. თავის გუშინდელ სიტყვაში კანცლერმა ჰიტლერმა გამოაცხადა, რომ ომი დაწყებულია. პოლონეთის ხალხი ამ ომს იღებს თავისი საუკუნოებრივი ტრადიციის თანახმად. პოლონეთის ელჩმა ბერლინში ლიპსკიმ ბრძანება მიიღო დასტოვოს ბერლინი.

აგრეთვე გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა ვარშავაში თავისი მთავრობის სახელით გამგზავრების პასპორტი მოითხოვა. სიტუაცია სავსებით ნათლად უნდა ჩაითვალოს“.

## პოლონეთმა დახმარებისათვის მიმართა ინგლისს

**ნიუ-იორკი,** 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გერმანიის საელჩოში ლონდონში დაიწყეს არქივების დაწვა. საელჩოს შემადგენლობა გერმანიაში წასასვლელად ემზადება. პოლონეთმა, იუწყება შემდეგ სააგენტო, დახმარებისათვის მიჰმართა ინგლისს.

## პოლონეთმა დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთს

**ლონდონი,** 1 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „ნიუ-იორკში რადიოთი მიღებული ცნობების თანახმად, პოლონეთმა ოფიციალურად მიმართა საფრანგეთს დახმარებისათვის“.

## საჰაერო თავდაცვის ღონისძიებანი დასავლეთ გერმანიაში

**ლონდონი,** 2 სექტემბერი (საკდესი). კელნში (გერმანია) რადიოთი გამოქვეყნდა ოფიციალური ბრძანება, რომ სავსებით დააბნელონ მთელი დასავლეთი გერმანია ყოველ ღამე, დაწყებული გუშინდელი დღიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

## პოლონეთის არმიის უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა რიძ-სმიგლი

**ვარშავა,** 2 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის პრეზიდენტმა გუშინ გამოაცხადა, რომ მარშალი რიძ-სმიგლი დანიშნულია პოლონეთის არმიის უმაღლეს მთავარსარდლად. ერთსადაიმავე დროს გამოცხადდა, რომ საჭიროების შემთხვევაში რიძ-სმიგლი დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს.

## განცხადება ნეიტრალიტეტის შესახებ

**რიგა,** 2 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნდა ლატვიის სახელმწიფოს პრეზიდენტის შემდეგი შინაარსის დეკლარაცია:

„1. ვაცხადებ, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა შორის ამტყდარ ომში ლატვია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს.

2. ნეიტრალიტეტის კანონის საფუძველზე ვბრძანებ, რომ აღნიშნული კანონის დადგენილებანი ყველა მეომარი სახელმწიფოს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას 1939 წლის 1 სექტემბრიდან“.

◆

**სტოკჰოლმი,** 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ჩრდილოეთის ქვეყნების მთავრობებმა ერთსადაიმავე დროს გამოაქვეყნეს დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელსაც ისინი დაიცავენ ევროპაში დაწყებული ომის დროს. ნეიტრალიტეტის პირობების თანახმად, შვეციის მთავრობა შვეციის სანაპირო ზოლს ჰყოფს 6 რაიონად. თვითეულ ამ რაიონში ნებადართულია ერთსადაიმავე დროს ყოფნა არაუმეტეს სამი სამხედრო გემისა, რომლებიც ერთ მეომარ მხარეს ან მეომარი ქვეყნების ჯგუფს ეკუთვნიან.

◆

**ნიუ-იორკი,** 2 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ბრაზილიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ევროპის კონფლიქტში ბრაზილია ნეიტრალიტეტს დაიცავს.

◆

**ნიუ-იორკი,** 2 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, კუბის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი ნეიტრალიტეტს დაიცავს.

◆

**ტალინი,** 2 სექტემბერი (საკდესი). ესტონეთის მთავრობამ გამოაქვეყნა პრეზიდენტის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ ესტონეთმა გადასწყვიტა მტკიცე ნეიტრალიტეტი დაიცვას ევროპის სახელმწიფოთა შორის ამტყდარი ომის დროს.

◆

**კაუნასი,** 2 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც ლიტვა 1939 წლის პირველ სექტემბრიდან გამოცხადებულია ნეიტრალურ ქვეყნად.

◆

**სტოკჰოლმი,** 2 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ელჩმა დანიაში დანიის მთავრობას განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა პატივისცემით მოეკიდება დანიის ნეიტრალიტეტს, სანამ მის ნეიტრალიტეტს პატივს სცემს გერმანია.

◆

**პარიზი,** 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, შვეიცარიის ელჩმა რომში რუეგერმა დანიის მთავრობას აცნობა, რომ შვეიცარია დაიცავს ნეიტრალიტეტს.

# სამხედრო ღონისძიებანი ინგლისში

**ლონდონი,** 2 სექტემბერი (საკდესი). მთელს ინგლისში დროებით აკრძალულია საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკი. შესწყდა აგრეთვე ტელეგადაცემანი. ფოსტის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გაუქმებულია რადიომიტინგების ჩასატარებლად გაცემული ყველა ნებართვა. შემოღებულია ცენზურა საზღვარგარეთ გასაგზავნ მთელ საფოსტო კორესპონდენციაზე. რკინიგზის მოძრაობას კონტროლს უწევს ტრანსპორტის სამინისტრო. შესწყდა გემების რეისები ჰარვიჩ (ინგლისი) — ჰუკ ვან ჰოლანდისა (ჰოლანდია) და ჰარვიჩ — ანტვერპენის (ბელგია) ხაზებზე. შეწყვეტილია საჰაერო კავშირი ლონდონსა და კონტინენტს შორის. ადგილობრივ ხელისუფალთ მითითება მიეცათ სრულ მზადყოფნაში მოიყვანონ საჰაერო თავდაცვის ყველა საშუალება. დაზვერვის აგენტები მიმაგრებული არიან ლონდონის პოლიციაზე, რომელიც ამჟამად მომარაგებულია ფოლადის მუზარადებით, იპრიტის საწინააღმდეგო კოსტუმებით, აირწინაღებით, აგრეთვე ყოველივე იმით, რაც საჭიროა პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

გუშინ მთელს ინგლისში დაბნელება ჩატარდა. ლონდონის საავადმყოფოებიდან დაიწყო ევაკუაცია ყველა ავადმყოფისა, რომლებსაც მოძრაობის უნარი შესწევთ.

## საჰაერო განგაში ვარშავაში

**ვარშავა,** 2 სექტემბერი (საკდესი). დღეს დილიდან ვარშავაში 4 საჰაერო განგაში იყო. პირველი განგაში იყო 5 საათსა და 50 წუთზე, მეორე — 6 საათსა და 30 წუთზე, მესამე — 7 საათსა და 50 წუთზე და მეოთხე — დღის 2 საათზე, რომელიც ხუთი საათისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

## შვეციის მთავრობის ღონისძიებანი

**სტოკჰოლმი,** 2 სექტემბერი (საკდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შვეციის ყველა გემს თავიანთ გემბანზე რამდენიმე ადგილას ექნება შვეციის სახელმწიფო ფერები. ყოველ გემს ექნება დიდი ბაირაღი, რომელსაც ეკიპაჟი ბაქანზე მოათავსებს იმისათვის, რომ მფრინავებმა აშკარად გაარჩიონ გემის ეროვნება.

◆

**სტოკჰოლმი,** 2 სექტემბერი (საკდესი). 2 სექტემბრიდან შვეციაში აკრძალულია კერძო ავტომობილების მოძრაობა, თუ მათ არ ექნებათ საამისო სპეციალური ნებართვა.

## ნორვეგიის მთავრობის თავდაცვითი ღონისძიებანი

**ოსლო,** 2 სექტემბერი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, ნორვეგიაში გამოცხადებულია ნაწილობრივი მობილიზაცია. ჩატარდა მობილიზაცია ფლოტში და აგრეთვე საგრძნობლად გაძლიერდა სანაპირო დაცვა.

## რუზველტის წინადადება

**ნიუ-იორკი.** 1 სექტემბერი (საკდესი). რუზველტმა წინადადებით მიმართა ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიასა და პოლონეთს, რათა ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყუმბარები არ დაუშინონ სამოქალაქო მოსახლეობას.

## ამერიკის ბერლინელი ელჩი გადადგა

**ლონდონი,** 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის ბერლინელი ელჩი ვილსონი გადადგა.

## სამხედრო თათბირები საფრანგეთში

**პარიზი,** 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პრემიერმა და სამხედრო მინისტრმა დალადიემ მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ მიიღო გენერალური შტაბის უფროსი ჰამელენი.

საზღვაო მინისტრმა კამპინკიმ მიიღო სამხედრო-საზღვაო ძალთა მთავარსარდალი ადმირალი დარლანი.

## პანამის არხის დაცვის გაძლიერება

**ნიუ-იორკი,** 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ პანამის არხის დასაცავად დამატებით გაჰგზავნა 18 ჩქარმავალი ავიაგამანადგურებელი. ყველა გემზე, რომელიც კი არხზე გადის, სამხედრო მცველი რაზმი იგზავნება.

## თურქეთმა აკრძალა ექსპორტი

**ანკარა,** 1 სექტემბერი (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, თურქეთის მთავრობამ აკრძალა თურქეთიდან რაიმე საქონლის ექსპორტი, აგრეთვე ნავთის ტრანზიტი თურქეთის ტერიტორიაზე.

## მობილიზაციის მიმდინარეობა ბელგიაში

**ბრიუსელი,** 1 სექტემბერი (საკდესი). ბელგიის ნაციონალური თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ მობილიზაცია გაჩაღებულია. გაწვეული რეზერვისტებიდან შეიქმნება ჯარის ახალი ნაწილები.

## თავდასხმა გენერალ სუგიამაზე

**ჩუნცინი.** 2 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ჩუნიანჟიბაო“ იუწყება, რომ თავს დაესხნენ იაპონიის ჯარის სარდალს ჩრდილოეთ-ჩინეთში გენერალ სუგიამას. გაზეთის სიტყვით, 30 აგვისტოს, როდესაც სუგიამა ბეიპინიდან ტიანძინში მიდიოდა, მისი მანქანა გააჩერა ორმა იაპონელმა ოფიცერმა და რამდენიმე ჯარისკაცმა, რომლებმაც მოსთხოვეს მას დაუყოვნებლივ შესწყვიტოს დამპყრობელური ომი. როდესაც ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს, მათ ესროლეს სუგიამას. სუგიამა დაიჭრა თავსა და ფეხში.

მე-109 საშუალო სკოლის მასწავლებელი ალ. ჰიჭინაძე ატარებს პირველ გაკვეთილს მეორე კლასში.

ფოტო რ. აკოფოვის

# გორის სახელმწიფო თეატრი

წელს ბელადის სამშობლო ქალაქ გორში დაარსდა სახელმწიფო თეატრი. თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დანიშნა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **პავლე ფრანგიშვილი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრს.

თეატრში მიწვეული არიან: რეჟისორი ა. ალაზნისპირელი, ერთ დადგმას გააკეთებს ორდენოსანი რეჟისორი შ. აღსაბაძე; მხატვარი ა. ჟორდანია, ცალკე დადგმებზე იმუშავებს მხატვარი გოცირიძე; დირიჟორი ლაფერაშვილი, კომპოზიტორი მაჭავარიანი, ტექნიკური რეჟისორი მ. დანიელოვი, რეჟისორის თანაშემწე ბ. კანდელაკი, მსახიობები: ქალები — თ. აბაშიძე, (რესპ. დამსახ. არტისტი), ნ. ბოლაძე, ო. გოგნიაშვილი, გ. ივერიელი, დ. თოდრია, ნ. ნინიძე, მ. აბრამიშვილი, მ. მიქელაძე, მ. ბეროზაშვილი, ვ. ბახტაძე, ნ. ამირაშვილი; ვაჟები — ა. ალაზნისპირელი, შ. იმერლიშვილი, შ. ჯალაღანია, შ. მანჯგალაძე, შ. თხელიძე, შ. ლელაშვილი, ა. ყვინჩია, გ. ბასილაია, ა. კახნიაშვილი, ვ. ქურხული, გ. კიკვაძე, ვ. ჩხეიძე, ლ. შენგელია, ვ. ალუღიშვილი, ნ. კალანდარიშვილი, გ. შენგელია, შ. ბახტაძე, შ. ხაჯალია, ს. გრიქუროვი, ვ. ფარქოსაძე, ნ. ყრუაშვილი, მ. ჩუბინიძე და სხვ. სულ დასში 52 კაცია. თეატრს ჰყავს საკუთარი ორკესტრი.

თეატრმა რეპერტუარში შეიტანა: გორის თეატრისათვის სპეციალურად დაწერილი პიესა ი. გედევანიშვილისა **„გადასახვლელზე“**; გერგელის — **„ჩემი შვილი“**, ი. ვაკელის — **„შამილი“**, პ. კაკაბაძის — **„კოლმეურნის ქორწინება“** და ქეჩარიანის — **„ბრმა მუსიკოსი“**. დასმა მუშაობა დაიწყო 17 აგვისტოდან. თეატრის ახალი შენობა მზად იქნება ოქტომბრის დამლევს. სეზონის გახსნა განზრახულია ი. გედევანიშვილის პიესით ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავზე.

## ხალხურ საკრავებზე შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტი ატარებს ხალხურ საკრავებზე ინდივიდუალურ შემსრულებელთა საკავშირო კონკურსს. კონკურსი სამი ტურისაგან შესდგება. პირველი ტური ჩატარდება თბილისის საოპერო თეატრში 12 სექტემბერს.

ამჟამად საქართველოს ყველა რაიონში მიმდინარეობს ხალხურ საკრავებზე საუკეთესო შემსრულებელთა შერჩევა. რაიონებიდან შერჩეული შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას პირველ ტურში. ხალხური შემოქმედების სახლი იღებს განცხადებებს თბილისელ შემსრულებელთაგან პირველ ტურში დასაშვებად.

პირველ ტურში ჟიური კომპ. დ. არაყიშვილის თავმჯდომარეობით შეარჩევს 10 საუკეთესო შემსრულებელს, რომლებიც გაემგზავრებიან მოსკოვს. მე-2 და მე-3 ტური შესდგება მოსკოვში სექტემბრის დამლევს. კონკურსში გამარჯვებულთათვის გამოყოფილია ჯილდოები.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

31 აგვისტოს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე კოლმეურნეობათა მოედანზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ძალოსნები. ბრწყინვალე ოსტატობა გვიჩვენეს ძალოსნებმა: მსოფლიო რეკორდსმენმა, ორდენოსანმა მანუკიანმა, კუცენკომ, კასიანიმა, შატოვმა, უიგინმა, პეტროვმა და ნოვაკმა.

სასპორტო საზოგადოება „პრავდის“ (კიევი) წევრმა გრიგოლ ნოვაკმა ორივე ხელით აჭიმვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საშუალო წონის ძალოსნებისათვის—118,6 კილოგრამი. ოფიციალური მსოფლიო რეკორდი—117,5 კილოგრამი—ეკუთვნის ტოუნის (ეგვიპტე).

ამხ. ნოვაკი ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა ძალოსანია. იგი 19 წლისაა.

(საკდესი).

## სასამართლო

### საზიზღარ მკვლელს ხელახლა გაასამართლებენ

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ა. წ. 4 ივლისს თბილისის სტალინის რაიონის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლომ გაარჩია საქმე სტეფანე შაქროს-ძე ოტიაშვილისა, რომელმაც გასული წლის 25 ოქტომბერს კარლ მარქსის მოედანზე მდებარე ახალი საცხოვრებელ კომბინატში ჩაიდინა საზიზღარი მკვლელობა — ჯერ დაახრჩო და შემდეგ ყელი გამოსჭრა თბილისის რკინიგზის მუშფაკის მოსწავლე ქალს თამარ დავითის-ასულ შაშვიაშვილს.

სასამართლომ მკვლელს მაშინ მიუსაჯა 5 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

სტალინის რაიონის პროკურორი ამხ. ბახანოვი, რომელიც ამ პროცესზე იცავდა სახელმწიფო ბრალდებას, არ დაეთანხმა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და გააპროტესტა იგი. უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ეს პროტესტი, გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა სტალინის რაიონის პროკურატურას.

კვლევა-ძიება ამ საქმეზე ახლა სავსებით დამთავრებულია. ოტიაშვილთან ერთად დაპატიმრებული და პასუხისგებაშია მიცემული ამ საზიზღარ მკვლელობაში მისი თანამონაწილე შ. გოგოლაშვილი. საქმე განსახილველად გადაცემული აქვს სტალინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს, რომელიც გაარჩევს მას საჯარო-საჩვენებელი პროცესით ა. წ. 3 სექტემბერს საზაფხულო კინოთეატრ „დამკვრელში“ ამხ. ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. რ. ბახანოვის მონაწილეობით.

ა. ქ.

## გენერატორები ხრამის ჰიდროელსადგურისათვის

**ლენინგრადი** (საკდესი). ს. მ. კიროვის სახელობის ორდენოსან ქარხანა „ელექტროსილაში“ დაწყებულია 30.000 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროგენერატორების პროექტის დამუშავება. ეს ჰიდროგენერატორები დანიშნულია ხრამის ჰიდროელსადგურისათვის, რომელიც საქართველოში შენდება. ეს მთის ჰიდროსადგური პირველია სსრ კავშირში და ერთადერთია ევროპაში თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით. სადგურის წყალსაცავი და კაშხალი ზღვის დონიდან 1.500 მეტრ სიმაღლეზე იქნება.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

**3 სექტემბერს აწყობს:**

**მოლოტოვის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში** — ამხ. სულეიმანის ლექციას თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**კიროვის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში** — ამხ. ნიკიტენკოს ლექციას თემაზე: რუსეთ-იაპონიის 1904 წლის ომი და მეფის თვითმპყრობელობის დამარცხება. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**26 კომუნარის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში** — ამხ. თავხელიძის ლექციას თემაზე: მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ქართულ ენაზე.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება** სთხოვს ბარსეგ გრიგოლის-ძე კიურეგიანს გამოცხადდეს ძერჟინსკის ქ. № 8 (მეორე სართული) ამხ. ალასაროვთან 3 დღის ვადაში.

**საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომი** სთხოვს ამხ. მარიამ მიხეილის-ასულ მალრაძეს გამოცხადდეს რაიკომში.

**საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1535067, გაცემული 1936 წელს ანდრია ნესტორის-ძე გოცირიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1528554, გაცემული ისაკ პავლეს-ძე თავაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

**საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი**
(პლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ 3-18-50)

**საზაფხულო თეატრი**
3 სექტემბერს მუდ. ადგ. ტალ. № 98
**მესამე ვეფხი** მუს. კომ. 3 მოქ.
4 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 99
**ხოლოპკა** მუს. კომ. 3 მოქმ.
5 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 100
**სილვა** მუს. კომ. 3 მოქმ.
სამხ. ხელმძღვანელი **ა. ნ. ოლგარი**
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11-დან 3 ს-მდე
საღამოს 6-დან 11 საათამდე.

**დახურული თეატრი**
5 და 6 სექტემბერს
**თამარ წერეთელი**
სწარმოებს ბილეთების წინასწარ
შეძენა

**ღია ესტრადა**
3, 4 სექტემბერს
**ხმოვანი კინოფილმი**
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბაღში სასულე ორკესტრი **ხანგოვის**
ხელმძღვანელობით.

**სახესტრადა**
**მალე**
**ყუბანის ყაზახები**
3—2

**სახესტრადა**
**5 და 6 სექტემბერს**
**თამარ წერეთელი**
3—2

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი აცხადებს,**

რომ ის სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს საწარმოო პრაქტიკა გაზაფხულზე, ვალდებული არიან საწარმოო პრაქტიკის გამოცდები ჩააბარონ არა უგვიანეს ა. წ. 10 სექტემბრისა.

არსებული დებულების თანახმად მათ უნდა წარმოადგინონ წერილობითი მოხსენება პრაქტიკის გავლის შესახებ.

100

**სახესტრადა**
**მალე**
**კემპერის ჯაზი**
3—2

**სახესტრადა**
**მალე**
**ელენა ლემარი**
3—2

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი აცხადებს,**

რომ 10 სექტემბერს დაიწყება მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა.

ტალონების მიღებისას საჭიროა თან იქონიოთ ცნობები ორი შესატანის გადარიცხვის შესახებ და მინდობილობა.

50 **დირექცია.**

## ტრესტ „საქკომუნპროექტის“ დასკვნითი ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის.

**აქტივი**

| № № რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 164007—79 |
| 2 | მასალა, მცირეფასიანი ინვ. ექსპლოატაციაში | 70389—71 |
| 3 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 9039—40 |
| 4 | ფულადი საშუალებანი | 156613—34 |
| 5 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 823141—28 |
| 6 | ბრუნვისგარეშე საშუალებანი | 75—00 |
|  | ბალანსი | 1233266—52 |

**პასივი**

| № № რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | საწესდებო ფონდი | 560225—97 |
| 2 | საამორტიზაციო ფონდი | 33970—08 |
| 3 | რეზერვები | 102802—44 |
| 4 | ანგარიშსწორებანი კრედიტორებთან | 496607—52 |
| 5 | შედეგები (დაგროვება) | 39660—51 |
|  | ბალანსი | 1233266—52 |

### დაგროვება-დანაკარგის ანგარიში.

| № № რიგ. | დანაკარგი | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | დანაკარგი რეალიზაციით | 18262—01 |
|  | სულ | 18262—01 |
|  | დაგროვება | 39660—51 |
|  | ბალანსი | 57922—52 |

| № № რიგ. | დაგროვება | თანხა მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1 | სხვა შემოსავალი | 57922—52 |
|  | სულ | 57922—52 |
|  | ბალანსი | 57922—52 |

ტრესტის მმართველი **ი. ჩაჩანიძე.** მთ. ბუღჰალტერი **აბულაძე**

ბალანსი დამტკიცებულია კომუნ. მეურნეობის სახ. კომისარიატის მიერ 1939 წ. 9/VI, ოქმი № 2.

კომუნ. მეურნ. სახალხო კომისარიატის მთ. ბუღჰალტერი **ოქრუაშვილი.**

725

## საქკოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „კახეთის“ დასკვნითი ბალანსი 1939 წლის 1 იანვრისათვის

**აქტივი**

| № № რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 3325 | 12 |
| 2 | ნედლეული და მასალა | 41496 | 26 |
| 3 | პროდუქცია და საქონელი | 24678 | 31 |
| 4 | მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი | 4844 | 43 |
| 5 | ფულადი საშუალებები | 12614 | 12 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებებში | 5917 | 46 |
| 7 | ხარჯები სპეცფონდების ანგარიშში | 725 | 60 |
| 8 | განყენებული საშუალებები | 5033 | 90 |
|  | ბალანსი | 98635 | 20 |

**პასივი**

| № № რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | ფონდები | 21621 | 66 |
| 2 | მიზნობრივი რეზერვები | 1054 | 04 |
| 3 | მარეგულირებელი მუხლები | 3514 | 09 |
| 4 | გრძელვადიანი კრედიტები | 6000 | 00 |
| 5 | ანგარიშსწორება | 38349 | 29 |
| 6 | მოგება | 28096 | 12 |
|  | ბალანსი | 98635 | 20 |

### მოგებისა და ზარალის ანგარიში

| № № რიგ. | ხარჯები და ზარალი | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა ხარჯები და ზარალი | 3349 | 62 |
|  | სულ | 3349 | 62 |
|  | მოგება | 28096 | 12 |
|  | ბალანსი | 31445 | 74 |

| № № რიგ. | შემოსავალი და საერთო მოგება | თანხა მან. | თანხა კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | შემოსავალი რეალიზაციით | 30069 | 67 |
| 2 | სხვადასხვა შემოსავალი | 1376 | 07 |
|  | სულ | 31445 | 74 |
|  | ზარალი | — | — |
|  | ბალანსი | 31445 | 74 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1939 წ. 1/III, ოქმი № 9.

გამგეობის თავმჯდომარე **მ. მათურელი.** მთ. ბუღჰალტერი **ა. სარაჯიშვილი.** 1037

სახელგამის ანტიკვარულ-ბუკინისტური წიგნების მაღაზია პლეხანოვის პრ. № 118-დან **გადავიდა** ქორესის ქუჩაზე № 22 ში, ხოლო პლეხანოვის პროსპექტზე № 118-ში გაიხსნა სახელგამის მაღაზია სასკოლო-საკანცელარიო ნივთებისა და სათამაშოებისა.
15

**სახელგამის პოლიგრაფკომბინატს ესაჭიროება: მოწაფეები, კვალიფიციური მბეჭდავები, ამკინძავები, ქაღალდის დამჭრელები, ასოთამწყობები და დამხმარე მუშები.**
**მისამართი:** კამოს ქ. № 40, კადრების განყოფილება.
16 **დირექცია.**

თანახმად წევრთა ა. წ. 8 აგვისტოს საერთო კრების დადგენილებისა ხდება სარეწ. კოოპერატიული არტელის

**„კოოპრემმშენის“ ლიკვიდაცია.**

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 16 სექტემბრამდე საღ. 8 საათიდან 10 საათამდე. 16 სექტემბრის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

**ლიკვიდკომის მისამართი:** სარეწაო კოოპერაციის ქ. № 31.

346 **ლიკვიდკომი.**

ხობის სარეწაო არტელ **„ურთას“** წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად ხდება ამავე არტელის

**ლიკვიდაცია**

პრეტენზიები მიიღება ხობში სალიკვიდაციო კომისიის სახელზე ა. წ. 15 სექტემბრამდე.

2957 **ლიკვიდკომი.**

**ექიმი**
**მძინარიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფების მიღება დილ. 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, ქალებისა და ბავშვების – საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 (ძე-4 შესავალი, მე 2 სართული). 2875 5—2

ბიძაშვილები თამარ ისაკაძე, ბიძინა კაციტაძე, თადო გიორგობიანი, მეგობრები დარიკო ჩოჩიშვილი, სიმონ შათაშვილი იუწყებიან, რომ 3/IX ს. სხვავაში დანიშნულია სახუნტის 4 კურსის სტუდენტ

**ნინიკო გოცირიძის**

პანაშვიდი. 2961

შვილი ნეო სისორდია, სიძე ბარნაბ ლაბარტყავა, შვილიშვილები ლია და ცისანა; ოლია და ვალია კვაჭანტირაძეები იუწყებიან

**დესპინე კიზირიას-ასულ სისორდიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/IX 5 ს. გამოსვენება ვახუშტის, 7. 2964

მეუღლე თომა, შვილები აკაკი, იულია, რძალი ვერა, სიძე შ. რამიშვილი, შვილიშვილები ესიკო, ნიბლია, ალიტა, ჯემალი იუწყებიან, რომ 6/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

**ანიჩკა ნიკურაძე-ჯლამაძის**

პანაშვიდი. 2963

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—209